აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№10 (25.034) სამშაბათი, 31 იანვარი - 1 თებერვალი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 8-13, შიდამთიან რაიონებში - 3-8 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 0-5 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, მთაში - თოვა.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს ავსტრიის ფედერალური კანცლერი კარლ ნეჰამერი ეწვია. „ბატონი კარლ ნეჰამერის ისტორიული ვიზიტი ადასტურებს ორი ქვეყნის დინამიკურ თანამშრომლობას და ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციისადმი ავსტრიის რესპუბლიკის ურყევ მხარდაჭერას. ბევრ სხვა საკითხთან ერთად, განვიხილეთ სავაჭრო და ეკონომიკური კავშირების გაღრმავების პერსპექტივები“, - აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა.

* * *

რეინტეგრაციის საკითხებში მოლდოვის რესპუბლიკის ვიცე-პრემიერის რანგში პირველად ვიმყოფები საქართველოში. სამწუხაროდ, ორივე ქვეყანას - მოლდოვასა და საქართველოს აქვთ სეპარატიზმის პრობლემა: საქართველოს - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან, ხოლო მოლდოვის რესპუბლიკას - დნესტრისპირეთის რეგიონთან, - განაცხადა მოლდოვის ვიცე-პრემიერმა ოლეგ სერებრიანმა. მისი თქმით, „სეპარატისტული მოძრაობები ორივე ქვეყანაში მხარდაჭერილია ერთი და იგივე ქვეყნის - რუსეთის ფედერაციის მიერ“.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, იწყება ახალი პროგრამა, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციას ითვალისწინებს, - განაცხადა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ მთავრობის სხდომის შემდეგ. მისი თქმით, ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება, რასაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,3 მილიარდი ლარი მოხმარდება.

* * *

„ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევნებში ლევან ხაბეიშვილმა გაიმარჯვა, - ამის შესახებ „ენმ“-ის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე კობა ნაყოფიამ განაცხადა. „არჩევნებში მონაწილეობა 41 264-მა ადამიანმა მიიღო. საარჩევნო სუბიექტების მიერ ხმათა რაოდენობა ასეთია: ნონა მამულაშვილი - 1 537 ხმა (ხმების 3,33%), ნიკა მელია - 16 476 ხმა (40%), გიორგი მუმლაძე - 1 516 ხმა (3,68%), ლევან ხაბეიშვილი - 21 656 ხმა (52,58%)“,- განაცხადა ნაყოფიამ.

* * *

ქართველმა ხალხმა ხელისუფლებაში აგენტურის დაბრუნება აღარასოდეს უნდა დაუშვას, - აღნიშნულია განცხადებაში, რომელიც მოძრაობა „ხალხის ძალამ“ გაავრცელა. „სააკაშვილმა გერმანული მედიის წინაშე აღიარა, რომ აგენტია. დადასტურდა, რასაც დიდი ხანია ვამტკიცებდით - წარსულში საქართველოს პრეზიდენტად გამწესებული პირის სატვირთო კონტეინერში მოთავსება და საქართველოში გამოგზავნა ისე დაიგეგმა, რომ გეგმის შინაარსის შესახებ ის წესიერად ინფორმირებულიც კი არ იყო“, - წერია განცხადებაში.

მოამზადა
ია შველიძემ

სამინისტროს პროგრამები და სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

აჭარის მთავრობის მხარდაჭერით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო 2023 წელს განახორციელებს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამას, რომელიც მოიცავს ორ ღონისძიებას - სოფლად მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობას და სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობას, რისთვისაც სამინისტრო 4 904 500 ლარს დახარჯავს

ქობულეთში გამართულ შეხვედრაზე მინისტრმა ზაზა შავაძემ სამინისტროს 2023 წელს დაგეგმილი პროგრამები და სიახლეები ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებს გააცნო. შეხვედრას მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ ბერიძე, პროგრამების განხორციელების დეპარტამენტის თანამშრომლები და „ამაგების“ წევრები ესწრებოდნენ.

მინისტრის განცხადებით, მიმდინარე წლის ბიუჯეტი 8 645 600 ლარით გაიზარდა და 29 530 950 ლარით განისაზღვრა.

- ჩვენ აქტიურ კომუნიკაციას ვაგრძელებთ მუნიციპალიტეტებში, რათა ფერმერებს გავუჩინოთ მოტივაცია, ჩაერთონ სამინისტროს პროექტებში, გაზარდონ წარმოება და მიიღონ მეტი შემოსავალი. პროგრამების მიზანია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ზრდის ხელშეწყობა, აგროსასურსათო სექტორში შემოსავლების ზრდისა და სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა, - აღნიშნა ზაზა შავაძემ.

მინისტრის განცხადებით, გაგრძელდება სახნავ-სათესი ფართობების უფასოდ დამუშავება, რომლის დაფინანსება შეადგენს 1 505 510 ლარს, გაგრძელდება მეციტრუსეობის განვითარების ხელშეწყობა და ბიუჯეტიდან 750 000 ლარით დაფინანსდება.

სამინისტროს საქმიანობის მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვა, გარემოს შენარჩუნება და ტყის მდგრადი მართვა, რაც მიმდინარე წელს დაფინანსდება 13 545 172 ლარით.

გაძლიერდება ლაბორატორიული კვლევითი მომსახურება და სურსათის უვნებლობის, ცხოველთა ჯანმრთელობისა და ფიტოსანიტარიული კონტროლის მიზნებისათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი კვლევების (ტესტირების) წარმოება, რომლის ბიუჯეტი შეადგენს 705 366 ლარს.

განხორციელდება 20 სტუდენტის და კურსდამთავრებულის ანაზღაურებადი სტაჟირება, რომლის დაფინანსება იქნება 139 120 ლარი. გაგრძელდება აგრარული ექსტენციის მიწოდება რეგიონის ყველა მუნიციპალიტეტში, სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მიმართულებით, ფერმერებსა და აგრომეწარმეებს საველე პირობებში გაეწევათ სწავლება-კონსულტირება, რომლის ბიუჯეტი განისაზღვრა 199 600 ლარით.

ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის ცალკეული მონაკვეთი 2 კვირით ჩაიკეტება

2

«უნდა ჩამოვყალიბდეთ იმაზე, ვინ არის ჩვენი მეგობარი და ვინ - მტერი»

3

«სოფელსა შინა» - სპექტაკლი, რომელშიც მტერს უბრძოლველად ჩაბარდნენ

4

მაწანწალა ძაღლების პრობლემა ისევ მოუგვარებელი რჩება

5

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

საქართველოში საბავშვო ბაღების მასშტაბური მშენებლობა და არსებული ბაღების რეაბილიტაცია იგეგმება

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ახალი პროგრამა იწყება, რომელიც ქვეყნის მასშტაბით, 885 საბავშვო ბაღის მშენებლობა-რეაბილიტაციას ითვალისწინებს, კერძოდ, აშენდება 330 ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდება 555 არსებულ ბაღს

ახალი პროგრამის ფარგლებში, საბავშვო ბაღები თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აშენდება და რეაბილიტირდება. მოეწყობა ბაღების შიდა და გარე სივრცეები, რეკრეაციული ზონები, კომუნიკაციები და სველი წერტილები. ბაღები სრულად იქნება ადაპტირებული განსაკუთრებული საჭიროებების მქონე პირთათვის.

ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამა რამდენიმე ეტაპად განხორციელდება, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1.3 მილიარდი ლარი დაიხარჯება. აღსანიშნავია, რომ პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის 100 მილიონი ლარი 2023 წლის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულია.

სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამის მნიშვნელობაზე ისაუბრეს

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია და მინისტრის პირველი მოადგილე გიორგი ხანიშვილი სადაზღვევო კომპანიებისა და ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ, სადაც სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამის მნიშვნელობასა და არსებულ შედეგებზე ისაუბრეს

შეხვედრას „ალდაგის“, „თიბისის“, „არდის“, „ნიუ ვიუენისა“ და „პრაიმის“ სადაზღვევო კომპანიების, სადაზღვევო ასოციაციებისა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ, „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში, 2014-2022 წლებში, 64 563 ბენეფიციარზე სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემულია 149 880 პოლისი.

დაზღვეულია 1 180 236 992 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. დაზღვეულია 139 031,91 ჰა მიწის ფართობი. ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 99 544 506 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებაა 66 101 164 ლარი. ანაზღაურებული ზარალის ოდენობა 67 700 161 ლარია.

„მნიშვნელოვანია, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მხრიდან ნაბიჯები გადაიდგას, რათა აგროდაზღვევის პროგრამა უფრო მეტად იყოს მორგებული როგორც ფერმერთა, ისე სადაზღვევო ინდუსტრიის ინტერესებზე. საჭიროებების გათვალისწინებით, გარკვეული ცვლილებების განხორციელება პროგრამას მეტად მოქნილს გახდის, რაც, თავის მხრივ, გაზრდის პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობას და ხელს შეუწყობს სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზარალის მაქსიმალურად შემცირებას“, - აღნიშნა მინისტრმა.

ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის ცალკეული მონაკვეთი 2 კვირით ჩაიკეტება

დარინა გაბაიძე 514 22 22 80

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „გზა“ აწარმოებს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა)-ახალციხის საავტომობილო გზის კმ 59-კმ 68 მონაკვეთის დარჩენილ სარეაბილიტაციო სამუშაოებს

აღნიშნული სამუშაოების წარმოების პროცესში, გზის ცალკეული მონაკვეთი (კმ 67+020-კმ 67+260) ჩაიკეტება 2023 წლის 30 იანვრიდან 2 კვირის განმავლობაში, ყოველდღე, 14:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე.



გზის მონაკვეთის ჩაკეტვის პერიოდში, ავტოტრანსპორტი იმოძრავებს შემოვლითი გზით; კერძოდ, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი (ანგისა) - ახალციხის საავტომობილო გზის კმ 65+720-დან (სოფელ გომარდულის ასახვევი) კმ 67+920-მდე (სოფ. ჩანჩხალო) გამავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების გამოყენებით.

რა შემთხვევაში შეუძლია მშობელს, შვილს ბაღში საკვები მიუტანოს?

ნანა აბულაძე 577 20 35 90

საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა კვება მუდმივად კონტროლდება, ოფიციალური დოკუმენტითაა დარეგულირებული მათი რაციონი და ულუფები

თუმცა, არსებობს გამონაკლისიც. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვი განსაკუთრებულ კვებას საჭიროებს, მაგალითად, მისთვის არ შეიძლება უშაქრო, უგლუტენო და ასე შემდეგ საკვები, მშობელს უფლება მიეცა, სურვილის შემთხვევაში, თავად უზრუნველყოს შვილის კვება. ამ შემთხვევაში, მშობელი ვალდებულია ექიმის დასკვნის საფუძველზე დაწეროს განცხადება და აღწეროს შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა. ამავდროულად, რაციონი უნდა იყოს მარკირებული, დამზადების თარიღისა და შემცველობის მითითებით. მშობლებს ასევე აქვთ უფლება, მოითხოვონ ინდივიდუალური მენიუ.

- ჩემს შვილს აღენიშნებოდა ქრონიკული დაღლილობა, მუცლის ტკივილი აწუხებდა. ექიმებთან გადამოწმების შემდეგ, ცელიაკია აღმოაჩნდა, რაც ნიშნავს ხორბლისა და სხვა გლუტენის შემცველი პროდუქტების მიუღებლობას. როგორც კი პურს შეჭამდა, მალევე ეწყებოდა შებერილობა. ერთი წელია სპეციალურ კვებაზე მყავს. აღნიშნულის შესახებ ბაღს მივმართე, მითხრეს, რომ რთულია მენიუს შედგენა და უმჯობესი იქნებოდა, მე მიმეტანა ბაღში საკვები. ასეც ვიქცევი და მშვიდად ვარ. ეს კარგი შესაძლებლობაა ჩემი შვილის უსაფრთხოებისთვის, - გვითხრა ერთ-ერთი ბაღის აღსაზრდელის მშობელმა.

დამსახურებული მასწავლებლის სერტიფიკატებს გადასცემენ

ნანა აბულაძე 577 20 35 90

მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაციის, წარმატებული პედაგოგიური პრაქტიკის გამოვლენის, საზოგადოებისათვის საუკეთესო და დამსახურებული მასწავლებლის წარდგენისათვის, მასწავლებლის სახლი, სკოლებიდან და რესურსცენტრებიდან გამოთხოვილი ინფორმაციის საფუძველზე, პერიოდულად, პედაგოგებს დამსახურებული მასწავლებლის სერტიფიკატებს გადასცემს. მასწავლებლის სახლის ინფორმაციით, პედაგოგების ნაწილს უკვე მიენიჭა აღნიშნული ჯილდო. მათივე განცხადებით, ყველა რესურსცენტრი წარადგენს იმ პედაგოგებს, რომლებიც განსაკუთრებული მიღწევებით გამოირჩევიან.

ამბები

შაბათ-კვირის ქრონიკა

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიუკაძე სამუშაო ვიზიტით ფილიპინების რესპუბლიკაში გაემგზავრა. ინფორმაციას აჭარის მთავრობა ავრცელებს. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ორმხრივი მაღალი დონის შეხვედრები. „აჭარის მთავრობის მეთაური შეხვედრებს გამართავს ფილიპინების რესპუბლიკის ვაჭრობისა და ინდუსტრიის მინისტრთან, ტურიზმის მინისტრთან. ასევე, დაგეგმილია შეხვედრები ბიზნესწრეების წარმომადგენლებთან. ვიზიტის მიზანს ქვეყნებს შორის ეკონომიკური და ტურისტული ურთიერთობების გაძლიერება, ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენს“, - აღნიშნულია ინფორმაციაში.

* * *

ბათუმის ბიუჯეტიდან „უნებართვო და უსახური შენობა-ნაგებობების დემონტაჟისთვის“ 2023 წელს 100 ათასი ლარია გამოყოფილი. მომსახურების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი მერიის მუნიციპალურმა ინსპექციამ გამოაცხადა. პირობის მიხედვით, ქალაქის ტერიტორიაზე უნებართვო და უსახური შენობა-ნაგებობების დემონტაჟი ეტაპობრივად განხორციელდება - ტენდერში გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებიდან, 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში. ტენდერში წინადადებების მიღება 2023 წლის 10 თებერვალს დაიწყება და 13 თებერვალს დასრულდება. სამუშაოების ჩამონათვალი ასეთია: დროებითი შემოღობვის მოწყობა; ბეტონის კონსტრუქციებისა და ნაკეთობების დემონტაჟი; ხის კონსტრუქციებისა და ნაკეთობების დემონტაჟი; ლითონის კონსტრუქციებისა და ნაკეთობების დემონტაჟი; სარეკლამო და საინფორმაციო ბანერების დემონტაჟი; სამშენებლო ნარჩენების ტრანსპორტირება (30 კმ-მდე მანძილზე). მიმწოდებელს წერილობით გადაეცემა სამშენებლო ობიექტის კონკრეტული მისამართი.

* * *

ხელვაჩაურის მერია სოფელ სარფის სანაპირო ზოლში კიბეების, ბილიკის, პანდუსის, საშხაპეების და გასახდელების მოსაწყობად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას შეისყიდის. შესაბამისი ტენდერი ხელვაჩაურის მუნიციპალური ინსპექციის, ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველომ 20 ათასი ლარით გამოაცხადა. პირობის მიხედვით, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს თანამედროვე სტანდარტებით გათვალისწინებული შშმ პირებისათვის ადაპტირებული კიბეების, ბილიკის, პანდუსის, საშხაპეების და გასახდელების მოწყობას. ამასთან, გამარჯვებული კომპანიის მიერ პროექტის დაგეგმარების დროს ყოველი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან. პროექტი და ხარჯთაღრიცხვა მერიის სამმართველოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 დღის ვადაში უნდა ჩაბარდეს (ექსპერტიზის მომსახურების ვადის ჩათვლით). ელექტრონულ ტენდერში წინადადებების მიღება 2023 წლის 4 თებერვალს დაიწყება და 7 თებერვალს დასრულდება.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

„უნდა ჩამოვყალიბდეთ იმაზე, ვინ არის ჩვენი მეგობარი და ვინ – მტერი“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

საქართველო თავისი დამოუკიდებლობის პერიოდში, შეიძლება ითქვას, ყველაზე დრამატულ და ეპოქალურ ხანაში იმყოფება. საშინაო და საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით, მიმდინარეობს დაპირისპირება პარტიებს შორის და გადაადგილებები პოლიტიკურ სცენაზე. რეალურად, ესაა ბრძოლა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

*ყოფილი მმართველი გუნდის წევრები ერთმანეთს არ ინდობენ, რაც დამახასიათებელია ქართული პოლიტიკური სპექტრისთვის. იქმნება ახალი ალიანსები („დროა“, „გირჩის“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ სახით), რათა ქვეყანაში მესამე ძალა ჩამოყალიბდეს. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ მიუხედავად ოპოზიციის დამბლადაცემულობისა, ხელისუფლებას მრავალი გამოწვევა აქვს როგორც საშინაო, ისე საგარეო კუთხით, ამათგან უმთავრესია ევროკავშირის 12-პუნქტიანი რეკომენდაციების შესრულება, დასავლეთთან რეალური დაახლოება და უკრაინის გამარჯვება რუსეთთან ომში, რომლის შედეგი მსოფლიოს ახალ გადანაწილებას და ამავე დროს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ბედს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს. ექსპერტების განცხადებებით, აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო დროს იმატა დასავლეთის შენიშვნებმა ხელისუფლების მიმართ. ისინი მმართველ პარტიას დასავლეთის რეკომენდაციების გათვალისწინებას ურჩევენ, რასაც არ ეთანხმებიან ხელისუფლების წარმომადგენლები და აღნიშნავენ, რომ შენიშვნები უსაფუძვლოა. ასე თუ ისე, ერთი რამ ცხადია, ამ მხრივ მრავალი კითხვა დაგროვდა, სწორედ ამის შესახებ გვესაუბრება საჯარო მმართველობის დოქტორი, ბსუ-ის ლექტორი **ბიბა შარტენაძე.***

- საქართველოს შიდა პოლიტიკაზე ვისაუბროთ - როგორ შეაფასებთ არსებულ ვითარებას?

- მივესალმები ჩვენს მკითხველს, კიდევ ერთხელ გამოვხატავ ჩემს დიდ პატივისცემას გაზეთ „აჭარის“ გუნდის მიმართ და მადლობას გიხდით მკითხველთან შეხვედრის შესაძლებლობისთვის. რაც შეეხება თქვენს შეკითხვას, ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგს აქტუალურობის მიხედვით თუ დავალაგებთ, რამდენიმეს ისეთს გამოვყოფდი, რომლებიც, ფაქტობრივად, ქვეყნის საშინაო პოლიტიკის ყოველდღიურობად იქცა. პირველია ქვეყნის ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისკენ მიმავალ გზაზე წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებისთვის შესაბამისი რეფორმებისა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ღონისძიებების განხორციელება და მის ირგვლივ განვითარებული მოვლენები, მეორე - ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტიის „ნაციონალური მოძრაობის“ ახალი ხელმძღვანელის არჩევნები (რომელმაც, შეიძლება ითქვას, გადაფარა სხვა ყველა საკითხი თავისი სიმწვავით და დაპირისპირებებით), შემდეგ - მიხეილ სააკაშვილის პატიმრობა და მისი ჯანმრთელობის პრობლემები, რუსეთის დაუსრულებელი აგრესია და ომი უკრაინაში.

- ექსპერტები აცხადებენ, რომ ქვეყანას მრავალი გამოწვევა აქვს. საშინაო და საგარეო გამოწვევებს მმართველი პარტია რამდენად კარგად უმკლავდება?

- ჩვენი ქვეყნის გამოწვევა საგარეო კურსის თვალსაზრისით არსებულ ვითარებაში 12 რეკომენდაციის უპირობოდ და ერთაზროვნად შესრულებაა წევრობის კანდიდატის სტატუსის მოპოვებისთვის. საუბარია ქვეყნის, სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებზე, რასაც ალტერნატივა არ აქვს. რეკომენდაციების შესრულებისკენ მიმავალ გზაზე ნებისმიერი ტურბულენტური მდგომარეობა, რომელშიც მმართველი პარტია შეიძლება აღმოჩნდეს (გააზრებულად თუ გაუაზრებლად), ჯერ მას აკისრებს საკვანძო პასუხისმგებლობას, რათა რყევები წარმატებულად გადალახოს სახალხო კონსენსუსის (საუბარი მაქვს ევროპულ ოჯახში ინტეგრაციისკენ მისწრაფებაზე) პროექციისთვის და შემდეგ ყველა პოლიტიკურ აქტორს, ვინც ქვეყნის ევროპულ მომავალზე და მის ბედზე ფიქრობს. რაც შეეხება ქვეყნის საშინაო მდგომარეობას, აქ, ვფიქრობ, პოლიტიკური დღის წესრიგის დაბალანსება დამოკიდებულია შიდაპოლიტიკურ პროცესებზე, რომლის წინასწარ განჭვრეტა მხოლოდ ვარაუდია. ფაქტია, რომ ხელისუფლების მხრიდან საგარეო ვექტორის დაგეგმვის და განხორციელების პროცესი საჭიროებს არაორაზროვან მოქმედებებს, რათა თავიდან აიცილოს ინტერპრეტაციების საბაბი რუსეთის ომთან დაკავშირებით უკრაინაში და მის ირგვლივ განვითარებულ პროცესებზე.

- ოპოზიცია უკმაყოფილოა ხელისუფლების საქმიანობით, თუმცა მმართველი გუნდი აცხადებს, რომ ქვეყანა თანმიმდევრულად ვითარდება. ოპოზიციის შენიშვნები რამდენად არგუმენტირებულია?

- დავიწყოთ იმით, თუ რის მიხედვით ვაფასებთ ხელისუფლების საქმიანობას? თუ საუბარი ეხება ქვეყნის საგარეო კურსს, აქ კრიტიკა შეიძლება გამართლებულიც იყოს, უკრაინასთან მიმართებაში ჩვენი ქვეყნის ოფიციალური პირების პოზიცია შეიძლება გახდეს განხილვის საგანი. გარდა ამისა, ქვეყნის შიგნით არსებული აქტუალური პოლიტიკური საკითხები, როგორიცაა მედიამენეჯერებისა და ყოფილი პრეზიდენტის დაკავება, ცალსახად სენსიტიური და უარყოფითი რეაქციის გამომწვევია. ამ ყველაფრის ფონზე ქვეყნის ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის განვითარებაზე საუბარი მხოლოდ ხელისუფლების საზრუნავი ხდება. ობიექტურობისთვის, ბოლო პერიოდს თუ გადავხედავთ, ეკონომიკური კეთილდღეობის ნაწილში ციფრები საგრძნობლად პოზიტიურად არის ასახული ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტზე, თუმცა ამას რამდენად დავარქმევთ ქვეყნის თანმიმდევრული და სტრატეგიული განვითარების გეგმის შედეგს, ცალკე განხილვის საგანია.

- ხელისუფლება აცხადებს, რომ გასული წლის მთავარი მიღწევა ქვეყნის ეკონომიკური ზრდა და შიდა სტაბილურობა იყო. ამ მიმართებით ექსპერტები და, მით უმეტეს, ოპოზიცია ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ხელისუფლების პოზიციას არ იზიარებენ.

- ოპოზიციის პოზიცია ერთია და ციფრები - მეორე. როგორც ზემოთ აღვნიშნე, დიახ, ნამდვილად ჰქონდა ჩვენს ქვეყანას საგრძნობი ეკონომიკური ზრდა, თუმცა ჩვენ ყველამ, განსაკუთრებით ხელისუფლებამ, უნდა დავუსვათ საკუთარ თავს შემდეგი შეკითხვა: „სად იქნება საქართველო უკრაინის გამარჯვებისა და ომის დასრულების შემდეგ?“. ფაქტია, რომ ძირითად ეკონომიკურ შემოსავალს ომს გამოქცეული ადამიანების, ბიზნესმენების დანახარჯები შეადგენს. ამას დაემატა დასავლეთის სანქციები რუსეთის მიმართ, რომელმაც პირდაპირ შეზღუდა მათი მოქალაქეების გადაადგილება, საბანკო ტრანზაქციები ევროპის და დასავლეთის მასშტაბით, რამაც ამ ეკონომიკური ზრდის ავტომატურად განმაპირობებელი ფაქტორები რეგიონში მყოფი ყველაზე ევროპული ქვეყნისკენ - საქართველოსკენ გადმოიტანა. ხომ არ გამოიწვევს ომის დასრულების შემდეგ სხვა ქვეყნების მოქალაქეების უკან გასვლა ეკონომიკურ შოკს? მოკლევადიანად ვთვლით ეკონომიკური კეთილდღეობის წარმატებას, თუ ეს არის გრძელვადიანი სტრატეგია რეგიონში კონფლიქტის არსებობის მიუხედავად? ვფიქრობ, მსგავსი კითხვა ბევრია, თუმცა ამომწურავი და სწორხაზოვანი პასუხები - ნაკლები, მაგრამ მაინც, ყველანი კარგად ვგრძნობთ არსებულ სიტუაციას.

- ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ დასავლეთის შენიშვნები ხელისუფლების მიმართ კრიტიკულია და თუ ასე გაგრძელდა, შესაძლოა, ქვეყანამ წელსაც ვერ მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი. რას ფიქრობთ?

- კანდიდატის სტატუსის არ ან ვერმოპოვება იქნება დიდი დანაკლისი ჩვენი ქვეყნისთვის. აქ აღარ არის საუბარი პარტიულ ინტერესზე, პარტიულ დღის წესრიგზე, მმართველსა თუ ოპოზიციაზე. ევროკავშირის წევრობის შესაძლებლობა ჩვენი ქვეყნის ისტორიული მონაპოვარია, რომელსაც ვერავინ წაართმევს ქართველ ხალხს, მიუხედავად ანტიდასავლური და პრორუსული ნარატივის გაძლიერებისა. უფრო მეტიც, ყველა პასუხისმგებელმა რგოლმა თავისი მაქსიმუმი და უფრო მეტი უნდა გააკეთოს, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორიული შანსი ხელიდან არ გავუშვათ, ამ შანსს ევროპული სულისკვეთების თითოეული ქართველი გულდასმით დაიცავს.

- ამ ბოლო დროს პარლამენტართა ნაწილი და პარტია „ხალხის ძალის“ წევრები ხშირად ანტიდასავლურ განცხადებებს ახმოვანებენ, რაზეც საუბრობს არა მხოლოდ ოპოზიცია, არამედ ექსპერტებიც. რამდენად სახიფათოა მსგავსი ანტიდასავლური (თითქოს დასავლეთს ომში საქართველოს ჩათრევა სურს) განცხადებები?

- აღნიშნული ხელოვნური პარტიის წარმომადგენლების განცხადებები, რომლებსაც არათუ „ხალხის ძალა“, არამედ „ანტიდასავლური ანუ რუსული ძალა“ უნდა ერქვას, ცალკე აღებული აბსოლუტურად არაფერს ცვლის, თუმცა აქ არის პატარა და ძალიან საკვანძო დეტალი - ჩვენდა სამწუხაროდ, აღნიშნული პირები არიან „ქართული ოცნების“ საპარლამენტო უმრავლესობის შემადგენელი ძალა, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ჩვენი ქვეყნის საგარეო კურსზე და ამ „ანტიდასავლური ანუ რუსული ძალის“ მიერ გაკეთებული განცხადებები ომში ჩაბმასთან დაკავშირებით, არის მხოლოდ და მხოლოდ რუსული პროპაგანდისტული ნაწილის გაგრძელება. დატოვონ საპარლამენტო მანდატები ან გაემიჯნონ „ქართულ ოცნებას“ სრულად, წარმოგვიდგნენ დამოუკიდებელ ფრონტად, რის შედეგადაც ყველანი ვიხილავთ მათ რეალურ შესაძლებლობებს და პოლიტიკურ წონას, უფრო სწორად კი უწონობას.

- ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ დასავლური გზავნილები არც ისე საგანგაშოა და ოპოზიცია, როგორც ყოველთვის, მისთვის სასურველ, მაგრამ არარსებულ ვითარებას რეალურად წარმოგვიჩენს.

- საზოგადოება მთლიანად თუ ვერა, მისი დიდი ნაწილი მაინც უნდა ჩამოვყალიბდეთ იმაზე, თუ ვინ არის ჩვენი მეგობარი და ვინ - მტერი. თუ ეს კითხვა კვლავ პასუხგაუცემელი დარჩება და ოკუპანტს კეთილმოსურნეს დავუძახებთ, ხოლო დასავლეთს მტრად შევრაცხავთ, ეს იქნება ქვეყნისთვის საზიანო და ანტიქართული რიტორიკა, რომლითაც მხოლოდ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი ისარგებლებს.

- ექსპერტები არც ოპოზიციას ინდობენ. თქვენ როგორ შეაფასებთ „ნაცმოძრაობაში“ მიმდინარე დაპირისპირებებს?

- რაც დღეს „ნაცმოძრაობაში“ ხდება, ნამდვილად ჯანსაღად და სამაგალითოდ ჩაითვლებოდა, თუ არ იქნებოდა ის მწვავე და ბინძური დაპირისპირება, რასაც დღეს ყველანი ვხედავთ. ფაქტობრივად, „მიზანი ამართლებს საშუალებას“ - ამ პრინციპით მოქმედებდნენ თავმჯდომარეობის კანდიდატები და შიდაპარტიული სამზარეულო ყველაზე უვარგისი მხრიდან სააშკარაოზე გამოიტანეს, და ეს იმ ფონზე, როდესაც მათი დამფუძნებელი ციხეში იმყოფება (მორალურადაც გაუმართლებელია). რბილად რომ ვთქვათ, პარტიას შეეძლო, ეჩვენებინა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, კონკურენციის, დემოკრატიულობის, გამჭვირვალობის, ალტერნატიულობის, ინოვაციური მიდგომის და, ზოგადად, ოპოზიციური პარტიის ახალი სტანდარტის შექმნის მაგალითი, თუმცა პიროვნულმა შუღლმა გადაწონა აღნიშნული სიკეთეები. „ნაცმოძრაობის“ ორად გაყოფას ნაკლებად ვვარაუდობ, პარტიიდან გასვლა და ახალი კოალიცია უფრო რეალისტური მგონია.

- ოპოზიციურ ფლანგზე ვხედავთ გარკვეულ გადაადგილებებს, შეიქმნა სამთა კავშირი („დროა“, „გირჩი“ და „სტრატეგია აღმაშენებლის“ სახით). მოქმედ პოლიტიკურ ძალებს შორის თუ ხედავთ ისეთს, რომელსაც შესწევს უნარი, მესამე ძალად მოგვევლინოს?

- მოცემული პოლიტიკური პარტიების შედეგებს თუ გადავხედავთ, ძნელად წარმოსადგენია „მესამე ძალად“ მივიჩნიოთ რომელიმე, თუნდაც აღნიშნული „ტროოს“ კოალიცია.

- არასაპარლამენტო ოპოზიცია კვლავ მოუწოდებს საპარლამენტო ოპოზიციას პარლამენტის დატოვებისკენ, მაგალითად, შალვა ნათელაშვილმა განაცხადა, რომ ვინც პარლამენტს არ დატოვებს, ხელისუფლებასთან შეკრულია. მსგავსი განცხადებები რამდენად აზიანებს ოპოზიციურ სპექტრს?

იხ. მე-7 გვ.

> **„პარტიას შეეძლო, ეჩვენებინა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის გარეთ, კონკურენციის, დემოკრატიულობის, გამჭვირვალობის, ალტერნატიულობის, ინოვაციური მიდგომის და, ზოგადად, ოპოზიციური პარტიის ახალი სტანდარტის შექმნის მაგალითი, თუმცა პიროვნულმა შუღლმა გადაწონა აღნიშნული სიკეთეები**

უცხოეთი

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ენტონი ბლინკენი სამდღიანი ვიზიტით ახლო აღმოსავლეთში იმყოფება. ტურნე მან გვიპტეში ჩასვლით დაიწყო. გუშინ სახელმწიფო მდივანი იერუსალიმში ჩავიდა და პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს შეხვდა, დღეს კი რამალაში პალესტინის ლიდერ მაჰმუდ აბასთან გამართავს მოლაპარაკებებს. ბლინკენის ვიზიტი ისრაელსა და პალესტინას შორის დაძაბულობის ზრდას ემთხვევა - ხუთშაბათს, ისრაელის არმიის მიერ დასავლეთ სანაპიროზე, ჯენინის ლტოლვილთა ბანაკში განხორციელებული დარბევის შედეგად ათი ადამიანი დაიღუპა, პარასკევს კი პალესტინელმა შეიარაღებულმა მამაკაცმა აღმოსავლეთ იერუსალიმში სინაგოგის წინ შვიდი ადამიანი მოკლა. ბლინკენი მხარეებს დაძაბულობის დეესკალაციისკენ მოუწოდებს.

* * *

თურქეთის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ანკარა შესაძლოა, დათანხმდეს ფინეთის, მაგრამ არა შვედეთის ნატოში გაწევრიანებას. რეჯეფ თაიფ ერდოღანმა შვედეთი ათობით ადამიანის ექსტრადირებაზე უარის თქმის გამო გააკრიტიკა. „ჩვენ მივეცით შვედეთს 120 ადამიანის სია და ვუთხარით, რომ ამ ტერორისტების თავიანთ ქვეყანაში ექსტრადირება განეხორციელებინათ... თუ თქვენ ექსტრადირებას არ მოახდენთ, მაშინ... ბოდიში“, - განაცხადა ერდოღანმა. შეგახსენებთ, რამდენიმე დღის წინ თურქეთმა ფინეთისა და შვედეთის ნატოში მიღებასთან დაკავშირებით მოლაპარაკებები შვედეთში გამართული ანტითურქული საპროტესტო აქციის დროს ყურანის დაწვის გამო შეაჩერა.

* * *

ირანში სამხედრო ინფრასტრუქტურის ობიექტებს დრონებით დაესხნენ თავს. არაოფიციალური წყაროებით, განადგურდა ისპაჰანში მდებარე საბრძოლო მასალების მწარმოებელი ქარხანა. თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია. ძლიერი ხანძარი გაჩნდა ქალაქ შაჰიდ სალიმში მდებარე ძრავის ზეთების მწარმოებელ ქარხანაშიც. აფეთქებების ხმა ისმოდა ქალაქ დიზფულის ავიაბაზაზე, ასევე ქალაქ ჰამადანსა და რეშთში. განგაშის სიგნალი იყო ჩართული თეირანშიც. ოფიციალური უწყებები არ აკონკრეტებენ, ვინ შეიძლება იყოს თავდასხმებზე პასუხისმგებელი.

* * *

დონალდ ტრამპი ირწმუნება, რომ პრეზიდენტის პოსტზე მისი ყოფნის შემთხვევაში რუსეთ-უკრაინის ომი არ დაიწყებოდა. ამის შესახებ მან ნიუ-ჰემფშირში მხარდამჭერებთან შეხვედრისას განაცხადა. „ქალაქები მიწასთან არის გასწორებული. ზარალდება მილიონობით ადამიანი. პრეზიდენტის პოსტზე რომ ვიყო, ამ ომს 24 საათში გავაჩერებდი“, - აღნიშნა ტრამპმა.

* * *

გაერთიანებული სამეფოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბორის ჯონსონი აცხადებს, რომ უკრაინაში შეჭრის წინ გამართული სატელეფონო საუბრის დროს რუსეთის პრეზიდენტი მას სარაკეტო დარტყმით დაემუქრა. „მან მითხრა: ბორის, არ მინდა ზიანი მოგაყენო, მაგრამ რაკეტით ამას მხოლოდ ერთი წუთი დასჭირდება“, - აღნიშნა ჯონსონმა.

მოამზადა
ია შველიძემ

„სოფელსა შინა“ – სპექტაკლი, რომელშიც მტერს უბრძოლველად ჩაბარდნენ

ნანა აბულაძე 577 20 35 90

29 იანვარს ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში მიხეილ ჯავახიშვილის პიესის, „შერცხვენილნი“, მიხედვით, თეატრის ახალი სამხატვრო ხელმძღვანელის მიხეილ ქანთარიას მიერ დადგმული სპექტაკლის - „სოფელსა შინა“ პრემიერა გაიმართა

სპექტაკლმა, რომლის ნახვის შესაძლებლობა სამი დღის განმავლობაში ჰქონდა საზოგადოებას, ანშლაგით ჩაიარა. ორმოქმედებიანი დრამის მძაფრი სიუჟეტი 20-იანი წლების საქართველოს ისტორიას ასახავს და როგორც წინასწარმეტყველური ტექსტი, ისეა მიჩნეული, რადგან დღევანდელობასაც მიესადაგება და იმ საფრთხეებს გვახსენებს, რომელიც ჩვენს ქვეყანას ოდითგანვე ჰქონდა და დღესაც ემუქრება ოკუპანტი ქვეყნის, რუსეთისგან. მიხეილ ჯავახიშვილის აღნიშნული პიესა კიდევ ერთხელ ახსენებს მოსახლეობას, რომ მითებს რუსეთის მეგობრობასთან დაკავშირებით არ უნდა დავუჯეროთ, რადგან მტერი მტერია და მისი ერთადერთი მისწრაფება ჩვენი დამონებაა. სპექტაკლის პრემიერა, რომელიც ბათუმის დრამატულ თეატრში შედგა, შინაარსიდან გამომდინარე, ძალიან მძაფრი იყო. აღსანიშნავია მსახიობების სამსახიობო ოსტატობა, მუსიკა, სცენოგრაფია. სპექტაკლში ისმის ფრაზები: „ისინი მოდიან“, „ისინი დაგვიპყრობენ“, „ისინი ბევრნი არიან, გაგვანადგურებენ, ჯობია ჩავბარდეთ“... ეს ფრაზები უჩვეულოა ქართველის მებრძოლი სულისთვის, მისთვის დამახასიათებელი უფრო იმის თქმა იქნებოდა, რომ რუსეთი დამპყრობელია და მას კი არ უნდა ჩავბარდეთ, ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის... სპექტაკლის ბოლო საპრემიერო ჩვენებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო.

- ყოველთვის დიდი პატივია ბათუმის თეატრში მოსვლა და იმის ნახვა, როგორ მიმდინარეობს აქ შემოქმედებითი პროცესი, თეატრში, რომელსაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსგან ესოდენ დიდი მხარდაჭერა და თანადგომა აქვს. ძალიან მოხარული ვარ, რომ ბატონმა ნუკრი ქანთარიამ, რომელმაც სრულად დატოვა პოლიტიკური პროცესი არცთუ ისე დიდი ხნის წინ, დაუბრუნდა შემოქმედებით პროცესს. იგი ჩვენ ორი მიმართულებით გვაძლევს საშუალებას, რომ ვიამაყოთ. ერთია, თეატრალურ უნივერსიტეტში მის მიერ გამოშვებული ახალგაზრდა კადრები, ვინაიდან ბატონ ნუკრის ახლა უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს, რომ ახალგაზრდა თაობის აღზრდას დაუთმოს დრო და ასევე - ბათუმში, სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში მან შემოგვთავაზა შესანიშნავი რეჟისურა, სპექტაკლი, რომელიც ჩვენს წარსულზე, საქართველოს ისტორიის უმძიმეს მომენტებზე გვაფიქრებს... მაგრამ, ასევე, გვაიძულებს ვიფიქროთ იმაზე, როგორი უნდა იყოს აწმყო, როგორი უნდა იყოს უკეთესი მომავალი, რომელიც ახალგაზრდა თაობებს ეკუთვნის და ჩვენი ვალიც არის, აწმყოში ვიმუშაოთ ისე, რომ ახალგაზრდა თაობას დახვდეს უკეთესი საქართველო. მინდა, ბათუმის თეატრს, ბატონ ნუკრის ვუთხრა ძალიან დიდი მადლობა ამ შესანიშნავი პრემიერისათვის და მივულოცო ბათუმის მაყურებელს, რომელიც ასეთი ერთგულია მშობლიური თეატრის, - განაცხადა თეა წულუკიანმა.

ბათუმის დრამატულ თეატრს წარმატებული პრემიერა ასევე მიულოცა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა.

- ის გამოხმაურება და დიდი ინტერესი, რომელიც საზოგადოებამ მესამე საპრემიერო ჩვენებაზე გამოხატა, ნათლად ადასტურებს, რომ პრემიერა წარმატებით შედგა. ამ ყველაფერს ხელი შეუწყო მსახიობთა არაჩვეულებრივმა თამაშმა, მუსიკალურმა გაფორმებამ, რეჟისურამ. დღეს ბათუმში თეატრალური ზეიმი შედგა, ეს წარმატება კი მინდა მივულოცო თითოეულ ადამიანს, ვინც იყო ჩართული ამ პროცესში და კიდევ ბევრი წარმატება ვუსურვო ბათუმის დრამატულ თეატრს, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

მსახიობ სესე მიქავას თქმით, უამრავი კომპლიმენტი და მხურვალე აპლოდისმენტები, რომლებიც მიიღეს, იმაზე მიანიშნებს, რომ სპექტაკლი შედგა და ის დადებითად მიიღო მაყურებელმა: „თუ მაყურებელი კმაყოფილია, ესე იგი ჩვენც კმაყოფილნი ვართ“, - გვითხრა მსახიობმა.

სპექტაკლის მხატვარია გოგლა გოგიბერიძე, კომპოზიტორი - ბადრი ბაგრატიონ-გრუზინსკი, ქორეოგრაფი - კოტე ფურცელაძე, რეჟისორის თანაშემწე - ზვიად მურვანიძე.

ოპოზიცია

კიდევ რა ცვლილებები მოხდება მთავარ ოპოზიციურ პარტიაში?

გუშინ, 30 იანვარს, პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის არჩევნებში ლევან ხაბეიშვილმა გაიმარჯვა. ხმის მიცემა 28 იანვარს, დილის 10 საათის შემდეგ დაიწყო და 30 იანვარს, 10 საათზე დასრულდა. შედეგები პარტიის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კობა ნაყოფიამ გამოაცხადა

პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში გამარჯვებისთვის კანდიდატს უნდა მიეღო ხმების ნახევარზე მეტი.

კანდიდატებს შორის ხმები ასე გადანაწილდა: გამარჯვებულმა ხმების 52.58% (21,656 ხმა) მიიღო, ნიკა მელიამ - 40% (16 476 ხმა), ნონა მამულაშვილმა- 3.73% (1537 ხმა), გიორგი მუმლაძემ - 3.68% (1516 ხმა). ენმ-ის თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობა სულ 41 264 ადამიანმა მიიღო, თუმცა არჩევნებში დარეგისტრირებული 49 638 ადამიანი იყო.

თავმჯდომარეობის კანდიდატმა გიორგი მუმლაძემ ლევან ხაბეიშვილს პარტიის თავმჯდომარედ არჩევა თავის ფეისბუქგვერდზე ასე მიულოცა: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერებმა მიიღეს პარტიისთვის ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და დაუჭირეს მხარი ცვლილებებს, რაც პატივსაცემია! ახლა საქმის დროა, ლაპარაკის ნაცვლად! ლევან ხაბეიშვილი, გილოცავ“.

ლევან ხაბეიშვილს გამარჯვება თავმჯდომარეობის კანდიდატმა ნონა მამულაშვილმაც მიულოცა. წარმატებები უსურვა, თუმცა თავის ფეისბუქგვერდზე ერთგვარ შიშსაც გამოთქვამს: „დიდ სურათში ფულმა და არაფორმალურმა გავლენებმა გაიმარჯვა პოლიტიკაზე. მინდა მჯეროდეს, რომ ის შედეგი არ დადგება, რაც, როგორც წესი, ასეთ შემთხვევებში დგება ხოლმე“, - წერს ნონა მამულაშვილი.

„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი და ხაბეიშვილის მთავარი კონკურენტი ნიკა მელიაც ასევე გამარჯვებას ულოცავს თავის მეტოქეს პარტიის თავმჯდომარის არჩევნებში. დამარცხების შემდეგ პარტიაში გამართულ ბრიფინგზე ნიკა მელიამ განაცხადა, რომ ბრძოლას მმართველი პარტიის წინააღმდეგ აუცილებლად გააგრძელებს, მაგრამ რა როლი ექნება პარტიაში, ამაზე გადაწყვეტილებას მოგვიანებით მიიღებს.

„ამ ბრძოლაში მე გააზრებულად შემოვუერთდი დიდ გუნდს 2013 წელს და ის მიზნები და ამოცანები, რომლის მიღწევაც მსურდა, არის მიუღწეველი და ამ რეალობაში ვრჩები ბრძოლაში და ვრჩები პარტიაში, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია, განსაკუთრებით მანამ, სანამ მიხეილ სააკაშვილი რუსული რეჟიმის პირადი ტყვეა. ამის შემდეგ ბევრ ადამიანთან ერთად მივიღებ გადაწყვეტილებას, რა ხარისხით ჩავერთო მომავალ პარტიულ საქმიანობაში, თუმცა ენერგიულად ვიბრძოლებ „ქართული ოცნების“ წინააღმდეგ“, - თქვა მელიამ.

მან იმასაც ხაზი გაუსვა, რომ ძნელია, ამ არჩევნებში ვინმეს გამარჯვებული ან დამარცხებული უწოდო, რადგან დღეს ქვეყნის წინაშე მნიშვნელოვანი გამოწვევებია.

„დასრულდა არჩევნები პარტიაში, რომელსაც აქვს ხელისუფლების მართვის გამოცდილება და რაც მთავარია, ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარების. ბუნებრივია, რომ ამ არჩევნებში ძნელია, ვინმეს ან გამარჯვებული, ან დამარცხებული უწოდო იქიდან გამომდინარე, რა მდგომარეობაშიც იმყოფება ჩვენი ქვეყანა: გვყავს პოლიტიკური პატიმრები ნიკა გვარამია და მიხეილ სააკაშვილი, საგარეო კურსი ამჟამინდელი ხელისუფლების ხელში იცვლება რუსეთის ორბიტისკენ...

> ***„დასრულდა არჩევნები პარტიაში, რომელსაც აქვს ხელისუფლების მართვის გამოცდილება და რაც მთავარია, ხელისუფლების მშვიდობიანად გადაბარების. ბუნებრივია, რომ ამ არჩევნებში ძნელია, ვინმეს ან გამარჯვებული, ან დამარცხებული უწოდო იქიდან გამომდინარე, რა მდგომარეობაშიც იმყოფება ჩვენი ქვეყანა:***

არჩევნები შედგა, ჰყავს კონკრეტული გამარჯვებული. მე მას ვულოცავ ამ შედეგს. ვუსურვებ მნიშვნელოვანს ჩემთვის - პარტია ემართოს ღირსებითა და სიმართლით. მინდა ვიმედოვნო, რომ ამას მოახერხებს“, - თქვა მელიამ.

პატიმრობაში მყოფი საქართველოს მესამე პრეზიდენტის დედამ, გიული ალასანიამ, მედიას მიხეილ სააკაშვილის მოსაზრება გააცნო მის მიერ დაფუძნებულ პარტია „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჩატარებულ არჩევნებთან დაკავშირებით. გიული ალასანია ჟურნალისტებს შვილთან შეხვედრის შემდეგ ესაუბრა.

„არაფერში არ ჩარეულა მთელი ეს პერიოდი. ახლა ასეთი პოზიცია აქვს, დიდ პატივს ვცემ ნიკა მელიასო, ის ნამდვილი გმირიაო. მაგრამ დღეს ვულოცავ ლევან ხაბეიშვილს და ვუსურვებ დიდ წარმატებებსო. დიდი სურვილი აქვს, რომ ყველას ახსოვდეს, ძალა ერთობაშია და საუბარი არ იყოს დაშლაზე“, - თქვა მან.

პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე კობა ნაყოფიას არ აქვს გადაწყვეტილი, მიიღებს თუ არა ამ თანამდებობის ხელახლა დასაკავებლად არჩევნებში მონაწილეობას. ამის შესახებ მან ჟურნალისტებს არჩევნებში გამარჯვებულად ლევან ხაბეიშვილის გამოცხადების შემდეგ უთხრა.

„დაინახეთ, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან დიდი პარტიაა, არ მგონია დაიშალოს, თუმცა გადანაცვლებები შეიძლება მოხდეს მმართველ რგოლში. ეს ბუნებრივია, როცა ერთი კანდიდატი იმარჯვებს, იმას მოჰყავს თავისი გუნდი მართვაში. ამაში გასაკვირი არაფერი არ არის. მე, ალბათ, არ მივიღებ მონაწილეობას პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის არჩევნებში“, - თქვა კობა ნაყოფიამ.

ნაყოფია პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის თანამდებობას 2022 წლის იანვრიდან იკავებს. მანამდე ამ თანამდებობას ნიკა მელია ითავსებდა, რომელიც იმავდროულად იყო პარტიის თავმჯდომარეც.

პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელმა გიორგი კირთაძემ სიტყვა შეასრულა და შიდაპარტიული არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, პოსტი დატოვა, თუმცა გააგრძელებს პარტიაში მუშაობას.

„ვტოვებ ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტს. მე წინასწარ მქონდა გაცხადებული, რომ თუ არჩევნების დასრულების შემდეგ ნიკა მელია ვერ გაიმარჯვებდა, ბათუმის ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტს დავტოვებდი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პერსონალურად ან პარტიის რომელიმე წევრი ტოვებს „ნაციონალურ მოძრაობას“. ჩვენ ვრჩებით „ნაციონალურ მოძრაობაში“ იმ იდეალებისთვის, რომლისთვისაც აქ ვიყავით“, - განაცხადა გიორგი კირთაძემ ტელეკომპანია „ფორმულასთან“ საუბარში.

„მისი სიტყვებით, პარტიისთვის საჭიროა მნიშვნელოვან საკითხებზე კონცენტრირება, ესენია, პატიმრობაში მყოფი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, „მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენა“, „ავტოკრატიული რეჟიმის ჩამოშლა“ და პატიმრობაში მყოფი ტელეკომპანია „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორ ნიკა გვარამიას გათავისუფლება, რომლისთვისაც ბრძოლას გააგრძელებენ. მან ასევე წარმატებები უსურვა გუნდს, რომელიც აჭარაში „ნაციონალურ მოძრაობას“ უხელმძღვანელებს.

აკაკი მინაშვილმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური მდივნის და პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის პოსტი დატოვა. ამის შესახებ მან ჟურნალისტებთან განაცხადა, თუმცა განმარტა, რომ პარტიაში რჩება. „მინდა მივულოცო ლევან ხაბეიშვილს, თუმცა ამავე დროს გითხრათ, რომ მე მქონდა გარკვეული პოზიციები პარტიის მენეჯმენტში. ვიყავი პოლიტიკური მდივანი, პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე. ორივე ამ პოზიციას ვტოვებ. ბუნებრივია, პარტიიდან არ მივდივარ, მითუმეტეს, იმ ფონზე, როდესაც მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენის საკითხი ძალიან აქტუალურია, თუმცა აქტიურ პარტიულ მმართველობას ჩამოვშორდები და ვდისტანცირდები. პარტიას ვუსურვებ წარმატებას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყოს ძლიერი და იყოს პარტია, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს „ქართული ოცნების“ ჩამოშორებაში,“ - განაცხადა აკაკი მინაშვილმა.

კიდევ რა ცვლილებები მოხდება „მთავარ ოპოზიციურ პარტიაში“ და საერთოდ, შეინარჩუნებს თუ არა იგი ამ სტატუსს, უახლოეს მომავალში გავიგებთ.

მოამზადა
მარი მიდასელმა

მაწანწალა ძაღლების პრობლემა ისევ მოუგვარებელი რჩება

ზიძრია დავლაძე 579 25 25 72

29 იანვარს პროკურატურამ ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში ვკითხულობთ: „შსს-ს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 22 იანვარს, ბათუმში, ბრალდებულმა პნევმატური იარაღით მიუსაფარ ძაღლს დაზიანებები მიაყენა, რის შედეგადაც ცხოველი დაიღუპა. ბრალდებულს ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლის პირველი ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით, გირაო შეუფარდა.

ქუჩაში რომ უპატრონო ძაღლებზე ყოველდღიურად ძალადობენ, ამაზე არაერთი ცხოველებისმოყვარული საუბრობს. ბათუმელი ლია მგელაძე ერთ-ერთია, ვისაც ქუჩაში გადაყრილი ლეკვებისთვის დახმარება არაერთხელ აღმოუჩენია, უფრო მეტიც, ახალგაზრდა ქალი თავის თანამოაზრეებთან ერთად, ნაგავსაყრელზე მყოფ ძაღლებს პატრონობს და შესაბამის დახმარებას უწევს.

- აუცილებელია, რეგიონში ცხოველებისთვის ადაპტირებული თავშესაფარი აშენდეს, სადაც დაზიანებული ძაღლების გადაყვანა იქნება შესაძლებელი. ახლა ცხოველების მოყვარულები და მოხალისეები პატრონობენ ქუჩაში მყოფ ძაღლებს. პრობლემა დღემდე მოუგვარებელია.

- იმაზე, თუ რატომ არ აშენდა თავშესაფარი, კონკრეტული პასუხი თუ გაქვთ?

- როგორც ცნობილია, ორი პროექტი ჩავარდა. სირცხვილია, 21-ე საუკუნეში ადაპტირებული თავშესაფარი რომ არ გააჩნია ქვეყანას. მარტო ეს პრობლემა როდის დგას ჩვენს ქალაქში, ძალიან ხშირია ცხოველის მიმართ აგრესიის გამოვლენის ფაქტი. ძალიან ბევრი რამ უნდა გაკეთდეს მდგომარეობის შესამსუბუქებლად მაინც.

- თქვენი აზრით, ყველაზე მთავარი, რაც უნდა გაკეთდეს?

- პირველ რიგში, კანონი უნდა შემუშავდეს, რაც დაბალანსებს ყველაფერს. ადამიანი, რომელიც ცხოველს აიყვანს, უნდა კონტროლდებოდეს შესაბამისი სამსახურების მიერ. იმ შემთხვევაში, თუკი ცხოველს აღარ უპატრონებს და იგი აღმოჩნდება ქუჩაში, პატრონი უნდა დაისაჯოს. მაშინ ყველა ადამიანი დაფიქრდება, აიყვანოს თუ არა ცხოველი. კანონი ბევრ პრობლემას მოაგვარებს. ასევე, უნდა მიიღონ კანონი მასობრივ, სავალდებულო სტერილიზაციასთან დაკავშირებით. უნდა მოხდეს რეგიონებსა და სოფლებში მყოფი ძაღლების აღწერა, თუ რომელიმე მოსახლე უარს იტყვის ძაღლის სტერილიზაციაზე, უნდა მოაწერ-ოს ხელი შესაბამის დოკუმენტზე, რომ მისი ძაღლის ნაშიერი ლეკვები არ მოხვდებიან ქუჩაში. თუ კანონი არ შემოვიღეთ, ვერ მოვახერხებთ ქუჩაში იმ რაოდენობის ძაღლების მოვლას, რაც გვხვდება ქალაქის ტერიტორიაზე.

- რა პრობლემებს აწყდებით თქვენ, ცხოველთა მოყვარულები?

- პრობლემა ისაა, რომ ყოველდღიურად ქუჩაში ტოვებენ ახალშობილ ლეკვებს, ძირითადად, რეგიონებიდან და სოფლებიდან. ნაგავსაყრელზეც ძალიან ბევრი ძაღლი გადაიყარა, მიზეზად კი იმას ასახელებენ, თითქოს ტურისტებს დისკომფორტს უქმნიდა. თუმცა, ეს ყველაზე მეტად ქართველ მოსახლეობას აწუხებს, ტურისტები ბევრად თბილები არიან ცხოველების მიმართ. ნაგავსაყრელიდან გამოყვანილ ძაღლებს ვუწევთ სამედიცინო დახმარებას, ვაწესრიგებთ და ვცდილობთ, რომ გავაჩუქოთ მზრუნველ პატრონზე. ერთი და ორი ძაღლი პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა ის მასა, რაც ყოველდღიურად მატულობს ქალაქში, უკვე დიდ პრობლემას ქმნის. ძაღლებს თავიანთი ტერიტორიის დაცვის უნარი გააჩნიათ, რაც აგრესიას იწვევს, თუმცა არც ადამიანებს აკლიათ ძაღლების მიმართ აგრესია. ეს უნდა დაბალანსდეს და ეტაპობრივად მოგვარდეს პრობლემა, - გვითხრა ცხოველების მოყვარულმა ლია მგელაძემ.

ბათუმის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველოში ამბობენ, რომ თავშესაფრის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტი მომზადების ეტაპზეა.

> *აუცილებელია, რეგიონში ცხოველებისთვის ადაპტირებული თავშესაფარი აშენდეს, სადაც დაზიანებული ძაღლების გადაყვანა იქნება შესაძლებელი. ახლა ცხოველების მოყვარულები და მოხალისეები პატრონობენ ქუჩაში მყოფ ძაღლებს*

მიუსაფარი ცხოველების დასაცავად

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმში იუსტიციის სახლთან ცხოველთა უფლებების დამცველები და ცხოველთა მოყვარულები შეიკრიბნენ და აქცია გამართეს

როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ გვითხრა, მათი მთავარი მოთხოვნაა, კანონის შესაბამისად დაისაჯოს პირი, რომელმაც ბათუმში, პნევმატური იარაღით დაზიანებები მიაყენა მიუსაფარ ძაღლს, რომელიც შემდეგ დაიღუპა. სასამართლომ ბრალდებულს აღკვეთის ღონისძიების სახით გირაო შეუფარდა.

ცხოველთა უფლებების დამცველები კანონის გამკაცრებას და მიუსაფარი ცხოველებისთვის თავშესაფრის დროულად გაკეთებასაც ითხოვენ. მათი განცხადებით, გახშირდა ქუჩის ძაღლების მიმართ აგრესიული ქმედებები, რაც ხშირად ფატალურად სრულდება.

- საშინელი მდგომარეობაა ქუჩებში, არაერთხელ შევსწრებივარ ფაქტს, როცა ადამიანები მიუსაფარ ცხოველებს სასტიკად ეპყრობიან. ერთერთ ძაღლს ყელზე თოკი ჰქონდა მოჭერილი და ისე დადიოდა, გადაგლეჯილი ჰქონდა კისერი... მოვხსენი და ჩემს თავშესაფარში წავიყვანე, ჭრილობას ვუმუშავებ ყოველდღე. ვიცი, რომ სანდო ხელშია და არაფერი ემუქრება. ძალიან ბევრი ტრავმირებული ცხოველია გარეთ, სიცივეში, მშიერ-მწყურვალი. თავდაპირველად, როცა ქუჩაში ცხოველებს ვკვებავდი, ძალიან ბევრი აგრესიულად მიდგებოდა, ნუ აჭმევთ და ნუ იჩვევთ ძაღლებსო. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემს სახლთან, მეგობრების დახმარებით, ამეშენებინა ცხოველთა თავშესაფარი, სადაც მუნიციპალური თავშესაფრებისგან განსხვავებით, ცხოველები ჩაკეტილები არ იქნებოდნენ. ვცდილობ, ტრავმირებული ცხოველები წავიყვანო და მათ სიცოცხლე შევუნარჩუნო. შეძლებისდაგვარად ვუვლი ყველას. თუ საოპერაციოა, ამის თანხასაც მე ვიხდი, ცხოველთა მოყვარული ადამიანებიც მეხმარებიან. 100-მდე ძაღლი მყავს ახლა თავშესაფარში, მაგრამ რამდენს დაიტევს, - ამბობს თინა დიასამიძე.

- საჯარო სივრცეებში, სადაც ბავშვები თამაშობენ და ხალხი მოძრაობს, ძაღლებს არ უნდა აწამებდნენ. ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს დროული და მკაცრი რეაგირება, რომ ცეცხლსასროლი იარაღით არ დადიოდნენ ადამიანები. კანონი უნდა კანონობდეს, - ამბობს აქციის მონაწილე გოჩა დუმბაძე.

- ძალიან კარგი იქნება, თუ აშენდება თავშესაფარი მიუსაფარი ცხოველებისთვის. ამ საკითხს მეტი პასუხისმგებლობით და გულისხმიერებით უნდა მიუდგნენ. ის, ვინც ეს სისასტიკე ჩაიდინა, აუცილებლად უნდა დაისაჯოს, რომ მსგავსი ფაქტი აღარ განმეორდეს არც ამ ქალაქში და არც არსად, - გვითხრა სოფიო ჭელიშვილმა.

- ჩვენი მოთხოვნაა, ადამიანი, ვინც უბრალოდ, გირაოთი გამოუშვეს, დაიჭირონ. ჩვენ მოვითხოვთ მაქსიმალურ სასჯელს. ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ მოსამართლეებიც გამოიჩენენ გულისხმიერებას, აქ მხოლოდ ცხოველის მოკვლაზე კი არ არის საუბარი - მან ხალხმრავალ ადგილას გაისროლა, სადაც ბავშვები იყვნენ. მას აუცილებლად ბრალი უნდა დაუმძიმდეს, - ამბობს ცხოველთა უფლებადამცველი თეონა ყურშუბაძე.

პრობლემად რჩება ბათუმში ძაღლების ახალი თავშესაფრის მშენებლობის საკითხიც. ქალაქის მერიამ ახალი ძაღლსაშენისა და იპოდრომის მოწყობა რამდენიმე წლის წინ დააანონსა, 2021 წელს კი, კერძო კომპანიასთან 12 788 480 ლარზე ხელშეკრულებაც გააფორმა დაპროექტებასა და მშენებლობაზე. თუმცა, ეს ხელშეკრულება შეწყვიტა და ხელახალი ტენდერი მხოლოდ პროექტირებაზე გამოაცხადა. მერიის სამმართველომ შერჩევა-შეფასების ეტაპზე პროექტირების ტენდერიც შეწყვიტა, რომელიც 700 ათასი ლარით იყო გამოცხადებული. ხელახალი ტენდერი სამმართველომ ისევ იგივე თანხით გამოაცხადა, მაგრამ ხელშეკრულება ამჯერად შპს „აჭარკაპმშენთან“ 587 ათას ლარზე გააფორმა. კომპანიამ ძაღლთსაშენის, იპოდრომისა და სარეკრეაციო სივრცის სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 2023 წლის 31 მარტამდე უნდა მოამზადოს.

უკრაინა

რუსული ძალების მიერ ხარკოვზე განხორციელებული თავდასხმის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა, სამი კი - დაშავდა, - ინფორმაციას უკრაინული მედია ხარკოვის ოლქის სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელ ოლეგ სინეგუბოვზე დაყრდნობით ავრცელებს. სინეგუბოვის თქმით, წინასწარი ინფორმაციით, რუსებმა საცხოვრებელ კორპუსს S-300 ტიპის რაკეტით დაარტყეს. „მტრის დარტყმა ხარკოვის კიევსკის რაიონში მდებარე 4-სართულიან საცხოვრებელ კორპუსზე S-300 რაკეტით განხორციელდა. სამმა ადამიანმა მსუბუქი დაზიანებები მიიღო. სამწუხაროდ, მოხუცი ქალი გარდაიცვალა“, - წერს ის. სინეგუბოვის ინფორმაციით, სახლი ნაწილობრივ დანგრეულია. მოსახლეობა ევაკუირებულია.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსეთს ომის გახანგრძლივების იმედი აქვს. „რუსეთს ომის გაჭიანურების, ჩვენი ძალების ამოწურვის იმედი აქვს. ასე რომ, დრო უნდა გამოვიყენოთ ჩვენს იარაღად. უნდა დავაჩქაროთ მოვლენები, დავაჩქაროთ მიწოდება და უკრაინისთვის საჭირო შეიარაღების ახალი ვარიანტების გახსნა“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, გასულ კვირაში უკრაინამ აშშ-თან, გერმანიასთან, პოლონეთთან, კანადასთან, ბელგიასთან, ნორვეგიასთან, იტალიასთან და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში თავდაცვის საკითხზე მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია. „მომდევნო კვირა არანაკლებ ძლიერი უნდა გავხადოთ ჩვენი თავდაცვისთვის“, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი უკრაინისთვის მოიერიშე თვითმფრინავების გაგზავნას გამორიცხავს. „ის ფაქტი, რომ ახლახან მივიღეთ გადაწყვეტილება ტანკების გაგზავნის შესახებ და გერმანიაში შემდეგი დებატები იწყება, უბრალოდ არასერიოზულად გამოიყურება“, - აღნიშნა შოლცმა გერმანულ გამოცემა Tagesspiegel-თან ინტერვიუში აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას. ამასთან, მან კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ნატო რუსეთთან ომში არ არის ჩაბმული. „ჩვენ არ დავუშვებთ ასეთ ესკალაციას“, - აღნიშნა შოლცმა. გერმანიის კანცლერმა დაადასტურა, რომ რეგულარულად ესაუბრება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს და ბოლო ზარი მათ შორის 2022 წლის დეკემბერში განხორციელდა. „ჩვენ უნდა ვისაუბროთ ერთმანეთთან“, - განაცხადა შოლცმა. ამასთან, მან ხაზი გაუსვა, რომ ყოველთვის გარკვევით აცხადებს: რუსეთის შეჭრა უკრაინაში აბსოლუტურად მიუღებელია და ვითარებას მხოლოდ მისი ჯარების გაყვანა მოაგვარებს.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, რუსეთისთვის პარიზში, 2024 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობა ნიშნავს იმის აღიარებას, რომ „ტერორი რაღაცნაირად მისაღებია“. „საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მცდელობა, დააბრუნოს რუსი სპორტსმენები ასპარეზობაზე და მონაწილეობა მიიღონ ოლიმპიადაში, არის მცდელობა, უთხრან მსოფლიოს, რომ ტერორი, შეიძლება, რაღაცნაირად მისაღები იყოს. თითქოს შესაძლებელია თვალის დახუჭვა იმაზე, რასაც რუსეთი აკეთებს ხერსონში, ხარკოვში, ბახმუტსა და ავდიივკაში. მაშინ, როცა პარიზის ოლიმპიადისთვის ვემზადებით, უნდა უზრუნველვყოთ, რომ რუსეთმა ვერ გამოიყენოს ის ან სხვა საერთაშორისო სპორტული ღონისძიება აგრესიის ან მისი სახელმწიფო შოვინიზმის პროპაგანდისთვის“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, ეს საკითხი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან საუბრისას დააყენა. საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა (IOC) განაცხადა, რომ რუს და ბელარუს სპორტსმენებს შეუძლიათ ოლიმპიადაზე ნეიტრალური სტატუსით ასპარეზობა, რის შემდეგაც უკრაინა დაიმუქრა, რომ თუ რუს და ბელარუს სპორტსმენებს ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებას მისცემენ, ისინი ასპარეზობას ბოიკოტს გამოუცხადებენ.

* * *

ამ ომში განმსაზღვრელი პლატფორმა არის ყირიმი, უკრაინის მთავრობას ესმის, რომ არ შეუძლია დათანხმდეს რუსეთის მიერ ყირიმზე კონტროლის შენარჩუნებას, - ამის შესახებ ევროპაში აშშ-ის სახმელეთო ძალების ყოფილმა მეთაურმა, გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ბენ ჰოჯესმა განაცხადა. მისი თქმით, უკრაინა არასდროს იქნება უსაფრთხო, სანამ რუსეთი ყირიმზე კონტროლს შეინარჩუნებს. „მომდევნო რამდენიმე თვეში უკრაინა შექმნის პირობებს ყირიმის საბოლოო გათავისუფლებისთვის. ქვეყანა არასდროს იქნება უსაფრთხო და ვერ შეძლებს თავისი ეკონომიკის აღდგენას მანამ, სანამ რუსეთი ყირიმს შეინარჩუნებს“, - აღნიშნა ჰოჯესმა. მისი თქმით, უკრაინისთვის ტანკებით მიწოდება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არის მხოლოდ ნაწილი იმ საერთო ძალისხმევისა, რომელიც საჭიროა უკრაინის გასამარჯვებლად, რუსული ძალების დასამარცხებლად და იმისთვის, რომ რუსულმა ძალებმა ყირიმი დატოვონ. ამასთან, ბენ ჰოჯესმა ხაზი გაუსვა, რომ რუსეთის ყირიმიდან გასადევნად უკრაინას შორ მანძილზე მოქმედი ზუსტი დარტყმის იარაღი დასჭირდება, როგორიცაა ATACMS-ის რაკეტები.

მოამზადა ნაირა შუტკარაძემ

„თუ გვინდა გვეპატიოს, ჩვენც უნდა ვისწავლოთ სხვისი პატიება“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჩვენი სტუმარია ხულოელი პედაგოგი, მენტორი მასწავლებელი მზია კახაძე.

- ქალბატონო მზია, ერთი წლის წინ ხულოში პირველმა მოიპოვეთ მენტორი მასწავლებლის წოდება. დროის ამ მონაკვეთში თქვენს საქმიანობაში არსებითად რა შეიცვალა?

- მუდმივად ვზრუნავდი და ვზრუნავ კოლეგების პროფესიულ განვითარებაზე, აქტიურად ვარ ჩართული ზოგადი განათლების სფეროსა და სასკოლო სისტემაში მიმდინარე მოვლენებში, ვეცნობი თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურასა და საგანმანათლებლო კვლევებს ეროვნულ და გლობალურ დონეზე, მიღებულ გამოცდილებას ვიყენებ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში და ასევე, მუდმივ რეჟიმში ვუზიარებ კოლეგებს არა მხოლოდ სკოლის, არამედ ეროვნულ დონეზე - ვგულისხმობ ჩემ მიერ შექმნილ ჯგუფში ჩატარებულ ვებინარებს. მონაწილეობა მივიღე საერთაშორისო კონფერენციაში უცხოელ კოლეგებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით.

- როგორ შეაფასებთ თანარაიონელი კოლეგის როლანდ შავაძის მიღწევას, რომელიც 2022 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი გახდა?

- როლანდ შავაძე მაშინ გავიცანი, როცა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამით „ასწავლე მომავალი წარმატებისთვის“ ფარგლებში მაღალმთიან სოფელში სამუშაოდ ჩამოვიდა. მას არ

რეფორმაში“, დასაწყისში იყო ხულოს მუნიციპალიტეტში კოორდინატორი, შემდეგ დაინიშნა უცხო ენების ექსპერტად. მეამაყება, რომ 2022 წლის მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს მფლობელი როლანდ შავაძე გახდა, ის საუკეთესო და ერთ-ერთ ლიდერ მასწავლებლად აღიარეს, ეს პირველი შემთხვევაა, რომ აჭარას, კერძოდ ხულოს, ჰყავს გამარჯვებული.

- რაა მთავარი სახელის მოსახვეჭად და ავტორიტეტის ასამაღლებლად?

- გინახავთ ვინმე, ვინც არაფერს აკეთებს და იმისთვის, რომ წარმატებული ყოფილიყო და წარმატება თავისით მივიდა მასთან? წარმატებას აღწევს ის, ვინც საჭირო დროს საჭირო საქმეს აკეთებს. ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს, ამისგან ჯერ მე ვიღებ უდიდეს სიამოვნებას და სხვა ადამიანები - სარგებლობას. ჩემი პიროვნული ხასიათი შეესაბამება ჩემს პროფესიას და ეს მხდის წარმატებულს. ვიხარჯები ბოლომდე, მაქსიმალურად ვიყენებ შესაძლებლობებს, რაც ჩემშია. ავტორიტეტს რაც შეეხება, არასდროს მიზრუნია მხოლოდ საკუთარი წარმატებისთვის, „მე“-ს ნაცვლად შემიძლია ვთქვა „ჩვენ“ და დღემდე ასე მოვდივარ, დავაფუძნე და ვხელმძღვანელობ ჯგუფს „მოტივირებულ პედაგოგთა კლუბი“, რომელშიც 64 000-ზე მეტი მასწავლებელია გაწევრიანებული და რომელიც ყველაზე მძლავრი, მრავალრიცხოვანი და ფუნქციური ჯგუფია საქართველოში. აქ ერთმანეთს ვუზიარებთ ცოდნას და გამოცდილებას, რაც გვეხმარება წარმატების მიღწევაში.

- ბოლო დროს მრავალ შეკრებაზე ჩანხართ...

- ჩემი, როგორც მენტორი მასწავლებლის ვალდებულებაა, დავამყარო კონტაქტები ეროვნულ დონეზე სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების, ასევე, საკუთარი პედაგოგიური პრაქტიკის კოლეგებისთვის გაზიარების მიზნით. ამიტომაც სიამოვნებით ვთანხმდები, როდესაც მთავაზობენ სხვადასხვა კონფერენციაში მომხსენებლად გამოსვლას. ეს ხდება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. სხვაგან ჩემს თავს ვერ ვხედავ, სანამ შემეძლება, ვიქნები მასწავლებელი და ეს არ არის უბრალო საქმიანობა.

- მეგობრებს ირჩევთ თუ ისინი გირჩევენ?

- მირჩევენ თუ ვირჩევ, ამაზე კონკრეტულად ვერ გიპასუხებთ, რადგან ვფიქრობ, ეს ორმხრივი პროცესია. მე სოციალური ადამიანი ვარ, მუდმივად მჭირდება სხვა ადამიანებთან ურთიერთობა ეს იქნება ოჯახური, მეგობრული, სამსახურებრივი, პროფესიული თუ სხვა. გამომდინარე აქედან, მყავს უამრავი მეგობარი. ვიღაცასთან ურთიერთობა უბრალო ნაცნობობით დაიწყო და შემდეგ საერთო ხედვებმა და ინტერესებმა დამაახლოვა.

- საიდან იღებს საფუძველს თქვენი და ლანა ბენდუქიძის მეგობრობა?

- ლანა პროფესიით ხელოვნებათმცოდნეა, მასთან დიდი ხანია ვმეგობრობ, არის არაერთი საინტერესო პროექტის ინიციატორი. გამომდინარე იქიდან, რომ მეც ძალიან მიყვარს ხელოვნება, ჩვენი გზებიც გადაიკვეთა ერთ-ერთი პროექტის განხორციელებისას. მან შემოიტანა ხელოვნებაში ისეთი ახალი მიმართულება, რომელსაც თავად შეარქვა „იმპრესიონიზმი ძაფებში“.

- ქველმოქმედებაზე რას იტყვით?

- ჩემს ჯგუფში ხშირად ტარდება საქველმოქმედო სემინარები, შემოსული თანხით კი ვეხმარებით იმ ადამიანებს, ვისაც ეს სჭირდება, ჩამონათვალი დიდია. ბოლოს დავეხმარეთ კოლეგებს, რომელთაც ჯანმრთელობის პრობლემები ჰქონდათ. 5 000 ლარი გადავურიცხეთ ერთ-ერთ თბილისელ კოლეგას შვილის, რომელიც ავტოავარიის შედეგად დაშავდა, საზღვარგარეთ მკურნალობისთვის. უკრაინელი ბავშვებისთვისაც გვქონდა საქველმოქმედო ვებინარები, 5 000 ლარი გადავრიცხეთ.

- ამას პირადი დანაზოგიდან აკეთებთ თუ...

- როგორც ზემოთ აღვნიშნე, მე და ჩემი მეგობარი, „მოტივირებულ პედაგოგთა კლუბის“ თანადამფუძნებელი ნატალია თურქაძე ვიწვევთ ტრენერებს, ვატარებთ ფასიან სემინარებს და შემოსულ თანხებს ვიყენებთ საქველმოქმედო მიზნებისთვის.

- რამდენად გრჩებათ დრო ოჯახისთვის?

- მაღალმთიან სოფელში ცხოვრება იოლი არ არის, აქ არსებობა მხოლოდ დიდი ძალისხმევითა და მძიმე ფიზიკური შრომით არის შესაძლებელი. თუმცა არჩევანის წინაშე - ოჯახი თუ კარიერა - არასდროს დავმდგარვარ, საბედნიეროდ, ორივეს გავართვი თავი, რადგან ორივე უსაზღვროდ მიყვარს. როცა გიყვარს, მოტივაციაც გაგაჩნია, მთავარი ეს არის. როგორც პროფესიაში, ისე ოჯახურ ურთიერთობებში ძალიან მნიშვნელოვანია „გუნდური მუშაობა“, ერთმანეთის მხარდაჭერა, ნდობა, სიყვარული და ზოგჯერ, კომპრომისზე წასვლაც.

- რა მესიჯს გაუგზავნით იმ ქვეყნის დედებს, კოლეგებს, რომელიც დღეს ომშია ჩართული?

- ჩვენ საკუთარ თავზე არაერთხელ გვაქვს გამოცდილი რუსული აგრესია, ქართველმა ხალხმა ყველაზე უკეთ იცის, თუ რას განიცდიან ახლა უკრაინელები. გამძლეობას ვუსურვებ უკრაინელ დედებს, დღეს მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია როგორც მორალური, ასევე ფინანსური მხარდაჭერა. „მოტივირებულ პედაგოგთა კლუბის“ გუნდის წევრებმა მოკრძალებული წვლილი შევიტანეთ მათ დასახმარებლად - „უკრაინელ ბავშვთა ფონდში“ 5 000 ლარი გადავრიცხეთ.

- მოსწავლეებმა კალენდარული ახალი წლის დაწყება როგორ მოგილოცეს?

- კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი ვარ და თვითონ ვასწავლი მოსწავლეებს, როგორ შექმნან ელექტრონული მისალოცი ბარათი. რა თქმა უნდა, ყველა დღესასწაულზე, მათ მიერ დამზადებული მისალოცი ბარათის პირველი ადრესატი მე ვარ. სწორედ ამ ფორმით მივიღე მოლოცვები ჩემი მოსწავლეებისაგან,

- პირობა, რომელიც აღსაზრდელებს მიეცით და დღემდე სუბიექტურმა ფაქტორებმა მისი შესრულება გადაავადა?

- ჩვენ, პედაგოგები თითქმის ყველა გაკვეთილზე ვდებთ პირობას აღსაზრდელებთან, რომ მათ ამ გაკვეთილის შემდეგ ეცოდინებათ: შეძლებენ, შექმნიან... ვასრულებ კიდეც...

- დაბოლოს, რაა მთავარი, ადამიანებს ერთმანეთის რომ სჯეროდეთ?

- მთავარი არის ნდობა. ეჭვი, ეს დაბალი, ხოლო ნდობა - მაღალი, ერთი და იგივე კიბის საფეხურებია. როცა ღმერთმა ადამიანი შექმნა და მისცა თავისუფლება, მან გამოხატა უდიდესი ნდობა ადამიანის მიმართ და მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი ამ ნდობას არ ამართლებს, ღმერთი მაინც ენდობა ადამიანს. ეს უნდა ვისწავლოთ ჩვენ - როცა ადამიანი გვაწყენინებს, იმედს გაგვიცრუებს, უნდა გავიხსენოთ, თავად რამდენჯერ გაგვიცრუებია იმედი ღმერთისთვის, ადამიანისთვის. თუ გვინდა გვეპატიოს, ჩვენც უნდა ვისწავლოთ სხვისი პატიება.

> *„წარმატებას აღწევს ის, ვინც საჭირო დროს საჭირო საქმეს აკეთებს. ვაკეთებ იმ საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს, ამისგან ჯერ მე ვიღებ უდიდეს სიამოვნებას და სხვა ადამიანები - სარგებლობას. ჩემი პიროვნული ხასიათი შეესაბამება ჩემს პროფესიას და ეს მხდის წარმატებულს*

ქველმოქმედებს ემადლიერებიან

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ზვიად ბერიძე და ნოდარ ფუტკარაძე აჭარაში წარმატებული ბიზნესმენების სახელით სარგებლობენ. ნოდარი ბიზნესს მეცნიერულ სარბიელზე მოღვაწეობასაც უთავსებს - იგი აკადემიური დოქტორია. ბათუმში მცხოვრები ბიზნესმენები მშობლიურ შუახევს არ ივიწყებენ, ლხინსა თუ ჭირში მათ გვერდით არიან, ხელმოკლე ოჯახებს ეხმარებიან, მათ დასაქმებაზე ზრუნავენ

ამჯერად ბიზნესმენები შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძის ინიციატივით, დღვანის ადმინისტრაციული ერთეულის ხუთი სოფლის მცხოვრებლებს სასურსათო პროდუქტებით დაეხმარნენ.

- ოჯახების შერჩევა მე მომანდეს. თითო სოფლიდან ორ-ორი ოჯახი შევარჩიეთ. სურსათის ჩამორიგების აქცია კორძაულიდან კვიახიძეებამდე საკრებულოს თავმჯდომარე ზვიად ბერიძესთან და გოგინაურელთა თავკაც ამირან (ასლან) გოგიტიძესთან ერთად განვახორციელეთ, - გვითხრა შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა ემზარ აბაშიძემ.

იანვრის ცივ და სუსხიან დღეს გაწეული თანადგომა დიდხანს დაამახსოვრდებათ ქიძინიძეებელი დავით გოგიტიძის, ივერი კეკელიძის, დღვანელი გენადი და მერაბ ფუტკარაძეების, ლომანაურელი გრიგოლ ზოიძის, ედუარდ ფუტკარაძის, გოგინაურელი რევაზ და მზევინარ გოგიტიძეების, კვიახიძეებელი ზინური ზოიძისა და თენგიზ ფუტკარაძის ოჯახებს.

- კვიახიძეები საზღვრისპირა სოფელია, - გვითხრა თენგიზ ფუტკარაძემ, - ოჯახში 7 წევრი ვართ. მცირემიწიანობა, შრომისუუნარობა ოჯახის ეკონომიკაზე ცუდად მოქმედებს. შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახლანდელი ხელმძღვანელების ინიციატივით, უკვე მეორედ დამეხმარნენ სასურსათო პროდუქტებით. ყველას დიდი მადლობა, ვინც ჩემს კეთილღეობაზე ზრუნავს.

შპს «სანდროს» და შპს «ედელვაისის» დირექტორები ზვიად ბერიძე და ნოდარ ფუტკარაძე უახლოეს დღეებში დღვანის ადმინისტრაციულ ერთეულში კიდევ რამდენიმე ოჯახს გაუგზავნიან სასურსათო პროდუქტებს, ხოლო მარტის დასაწყისში, ქალთა კვირეულის დღეებში, იმ ახალგაზრდა დედებს გაუხარებენ გულს, რომლებიც მარეთის ხეობაში 5 და მეტ შვილს ზრდიან.

- ქველმოქმედება, გაჭირვებაში მყოფი ადამიანების თანადგომა უკვე ცხოვრების წესად გვექცა. ტელევიზიით გადმოსცეს, რომ პირველი არხის ჟურნალისტის სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან. იგი შემწეობას ჩემგანაც მიიღებს, - გვითხრა შპს «სანდროს» დირექტორმა ზვიად ბერიძემ.

„ბიზნესპრესნიუსი“ გვთავაზობს ტოპ-10-ს...

საგულისხმო ფაქტია, რომ საქართველოში იმპორტირებული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების დაახლოებით 47% რუსეთზე მოდის.

შარშან ქვეყანამ რუსეთში 622,747 მლნ დოლარის ღირებულების პროდუქცია შეიძინა და ამით 2021 წლის ლიდერი იმპორტიორი - თურქმენეთი ჩაანაცვლა: 2021 წელს საქართველომ რუსეთში 135,128 მლნ დოლარის ნავთობპროდუქტები იყიდა, თურქმენეთში - 191,979 მლნ დოლარის. 2022 წელს შესყიდული ნავთობის ღირებულებით (158,938 მლნ დოლარი) თურქმენეთმა მესამე ადგილზე გადაინაცვლა, მეორე პოზიციაზე კი რუმინეთია (251,782 მლნ დოლარით).

აი, ტოპ-10 კომპანია, რომლებსაც რუსეთიდან ყველაზე დიდი რაოდენობით ნავთობი და ნავთოპროდუქტები შემოაქვს (იმპორტიორები არ არის დალაგებული რეიტინგის მიხედვით):

სს „ვისოლ პეტროლიუმ ჯორჯია; შპს „იბეროილი“; შპს „ლაგუნა“; შპს „ლუკოილ-ჯორჯია“; შპს „ნათიანა“; შპს „პორტალ პეტროლეუმ ჯორჯია“; შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“; შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“; შპს „ტესტა პეტროლიუმი“; შპს „ჯეორჯიან როუტ“ (წყარო: „საქსტატი“).

სულ შარშან საქართველომ მსოფლიოში 1,336 მლრდ დოლარის ღირებულების 1 330 515 ტონა ნავთობი და ნავთობპროდუქტები შეიძინა, 2021 წელს კი 823,040 მლნ დოლარის - 1 272 215 ტონა.

ამირან გურიელიძე

ანასტასია გუბანოვას ევროპული ოქრო

მანანა ჟიჟიშვილი 598 24 94 97

საქართველოს ნაკრების წევრმა ფიგურულ ციგურაობაში ანასტასია გუბანოვამ ფინეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ჩემპიონის ტიტული და ოქროს მედალი მოიპოვა

საქართველოს მოციგურავეთა ნაკრების ისტორიაში ევროპის ჩემპიონის ტიტული არცერთ სპორტსმენს არ მოუპოვებია. აქამდე ჩვენს ანგარიშზე მხოლოდ სამი მედალი, სამივე ბრინჯაო, იყო. ორჯერ ავიდა კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ელენე გედევანიშვილი და ერთხელ - მორის ყვითელაშვილი.

რაც შეეხება ანასტასია გუბანოვას, ევროპის ჩემპიონატზე იგი მოკლე პროგრამის შემდეგ პირველ ადგილზე იყო. 20 წლის მოციგურავემ თავისუფალი პროგრამის ოცდაოთხ მონაწილეს შორისაც საუკეთესო შედეგი აჩვენა - ორი დისციპლინის ჯამში 199,91 ქულა დააგროვა და დიდი უპირატესობით - 6,43 ქულით გაუსწრო მეორე ადგილზე მყოფ ბელგიელ ლეონა ჰენდრიკს. ბრინჯაოს მედალი შვეიცარიელმა კიმი რეპონდიმ დაისაკუთრა.

როგორც ევროპის ახალმა ჩემპიონმა აღნიშნა, სრიალის წინ ძალიან ნერვიულობდა. „მიხარია, რომ საკუთარ თავს ვძლიე“, - აღნიშნა მან.

ანასტასია გუბანოვამ რუსეთის მოციგურავეთა გუნდი სკანდალით დატოვა. იგი დაიბადა რუსეთში, სამარის ოლქის ქალაქ ტოლიატიში 2002 წელს. დიდ სპორტში 4 წლისა მიიყვანეს მშობლებმა - მან სანკტ-პეტერბურგში დაიწყო ფიგურულ სრიალში ვარჯიში, სადაც 2018 წლამდე დარჩა. საქართველოს სახელით 2021 წლიდან გამოდის. პეკინის ოლიმპიადაზე მეთერთმეტე ადგილი დაიკავა და საუკეთესო ათეულში შესასვლელად სულ მცირედი დააკლდა, მსოფლიო ჩემპიონატზე კი მეექვსე ადგილზე გავიდა.

მარიამ ფუტკარაძე - ლეიდენის უნივერსიტეტის სტუდენტი

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

მარიამ ფუტკარაძემ ჯერ კიდევ ბათუმის სკოლა-ლიცეუმ „მასტერკლასში“ სწავლისას 22 ქვეყანას შორის გამართულ მოსწავლეთა კონკურსში გაიმარჯვა, გრანტი მოიპოვა და მეთორმეტე კლასის პროგრამა წარმატებით გაიარა ისრაელში

ნიჭიერმა გოგონამ ერთ წარმატებას მეორე მიუმატა და... ლეიდენის (ჰოლანდია) უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. მარიამი ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ ენებს კარგად ფლობს. ახლა იგი საერთაშორისო ურთიერთობებისა და ორგანიზაციების ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

პირველი სემესტრის წარმატებით დახურვის შემდეგ, მარიამი საქართველოში რამდენიმე დღით ჩამოვიდა.

უცხოეთში გამგზავრებამდე მან გვითხრა: „აჭარის მკვიდრთაგან პირველს მერგო პატივი, უმაღლესი განათლება ამ პრესტიჟულ უნივერსიტეტში მივიღო. სამი წლის შემდეგ საქართველოს პოლიტოლოგის დიპლომით დავუბრუნდები, - გვითხრა მარიამმა.

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე პოლიტიკური მეცნიერებების მიმართულებით უნივერსიტეტს ადგილები ლიმიტირებული აქვს და მხოლოდ 150 სტუდენტს ირჩევს მთელი მსოფლიოდან. მარიამი ამ უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტია.

თამარ სურმანიძესა და რომან ფუტკარაძეს ვაჟიც ჰყავთ. გიორგის კომპიუტერული ტექნოლოგიები იტაცებს და მომავლის პროფესიად ეს სპეციალობა აქვს არჩეული.

„უნდა ჩამოვყალიბდეთ იმაზე, ვინ არის ჩვენი მეგობარი და ვინ - მტერი“

მე-3 გვერდიდან

- იმდენად გადატვირთულია ქართული შიდაპოლიტიკური საკითხები, რომ შალვა ნათელაშვილის განცხადებას არ მგონია სერიოზულად აღიქვამდეს დღეს რომელიმე საპარლამენტო ოპოზიციური პარტია, თუმცა მათი ბრძოლის ხერხები და ბერკეტები სტრატეგიის განხორციელების საშუალებებია.

- კვლავ გააქტიურდა ანაკლიის პორტის თემა. ეს მეგაპროექტი რა დივიდენდებს მოუტანს საქართველოს ეკონომიკური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით?

- ანაკლიის პორტი საქართველოსთვის წინგადადგმული ნაბიჯია. ეს იქნება ტრამპლინი ეკონომიკური კეთილდღეობისა და უსაფრთხოების გაძლიერების თვალსაზრისით და, რა თქმა უნდა, ახალი შესაძლებლობების ფართო არეალი, რომელიც უფრო მეტად დააკავშირებს დასავლეთს და საქართველოს ერთმანეთთან, უფრო მიმზიდველს გახდის ჩვენს ქვეყანას კავკასიის რეგიონში, რაც პირდაპირ-პროპორციულად აისახება ჩვენი ქვეყნის მდგრად და შეუქცევად განვითარებაზე.

- საგარეო საკითხსაც შევეხოთ: რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს აქვს ის შედეგი, დასავლეთი რომ ელოდა?

- დასავლეთის სანქციები რუსეთისთვის, რა თქმა უნდა, შედეგიანია. სანქციირება ერთ-ერთი ეფექტური ინსტრუმენტია იმ ქვეყნის იზოლაციაში მოსაქცევად, რომელიც გააზრებულად ებრძვის ადამიანის უფლებებს, უცხო ქვეყნის სუვერენიტეტს, თავის ხალხს, მიზანმიმართულად ანგრევს ბაღებს, სკოლებს, უნივერსიტეტებს, საავადმყოფოებს... დიახ, სანქციებს აუცილებლად აქვს და ექნება შედეგი.

- ევროპარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც პუტინისთვის და ლუკაშენკოსთვის სპეციალური ტრიბუნალის შექმნას მოითხოვს, ეს რისი მანიშნებელია?

- ბუნებრივი კანონზომიერების - „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“.

- დაბოლოს, დასავლეთმა მიიღო გადაწყვეტილება უკრაინისთვის 80-მდე „ლეოპარდი-2“-ის მიწოდების თაობაზე. ეს ნაბიჯი რამდენად მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციის თვალსაზრისით?

- როდესაც უთანასწორო ბრძოლაში ქვეყნის სუვერენიტეტის დასაცავად სახელმწიფო გთხოვს დახმარებას კონკრეტულად აღნიშნული საბრძოლო იარაღით, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ზუსტად აქვს გაზრებული, რას აკეთებს, რატომ აკეთებს და რა შედეგს სურს მიაღწიოს, რაც უკრაინის თავდაცვის ძალების ძლიერ მხარეზე მიუთითებს.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მენატრება ოჯახური ცხოვრება, სიმშვიდე და თავისუფალი დრო

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ჩვენი დღევანდელი ბლიცინტერვიუს სტუმარი ბათუმელი პოეტი ***ბენრი დოლიძეა.*** *ის ბოლო წლებია, სამოქალაქო აქტივისტია და ამ მხრივაც აქტიურადაა ჩართული ქალაქის საჭირბოროტო საკითხების განხილვაში.*

- ვინ ვარ და ვინ მინდოდა ვყოფილიყავი...

- საქმიანობის და გატაცების სფერო ხშირად მეცვლება, ხან დიპლომატობა მინდოდა, ხან - პროდიუსერობა, ხან - რეჟისორობა, ხან - მეცნიერობა, ხან - ბიზნესმენობა, მაგრამ ღირებულებების დონეზე არ ვიცვლები - ვინც ვიყავი 18 წლის ასაკში, ის ვარ დღესაც.

- ყველაზე დიდი წარმატება...

- ყველაზე დიდ წარმატებად მიმაჩნია ის, რომ ძალიან ბევრ ადამიანს ვუყვარვარ უანგაროდ, ზოგს - ჩემი შემოქმედების, ზოგს - სამოქალაქო პოზიციის გამო. ხევსურეთში ან მაღალმთიან აჭარაში რომ ახვალ და სოფლის მკვიდრი შენს სტრიქონებს შემოგაგებებს, ამაზე დიდ წარმატებად არ მიმაჩნია რომელიმე პრემია, სიგელი ან დიპლომი.

- ყველაზე დიდი იმედგაცრუება...

- ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი იმედგაცრუება და შეცდომა არის „ქართული ოცნების“ არჩევა და აქტიური მხარდაჭერა, რომელიც, სამწუხაროდ, ძალიან აცდა არა საკუთარ რელსებსა და პირვანდელ სახეს.

- პოეზია არის...

- ცხოვრების წესი, ჩემი იდენტობის ნაწილი და აზროვნების ფორმა.

- პოეტის უპირატესი მისია...

- კარგი ლექსების წერა.

- რომელი პოეტია თქვენთან ყველაზე ახლოს და რატომ...

- რომელიმე კონკრეტულ საყვარელ პოეტს ვერ გამოვარჩევდი, ხასიათს და განწყობას გააჩნია... არიან ავტორები, ვისაც პერიოდულად ვუბრუნდები, ასეთებია: შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე, ზურაბ გორგილაძე, ლადო ასათიანი... ცოცხლებიდან - ვახტანგ ჯავახაძე, ჯემალ ინჯია, ვახტანგ ღლონტი, ჩემი მეგობარი როი აბუსელიძე, რომელიც ამ ასაკში უკვე დიდი პოეტია.

- რას ურჩევთ დამწყებ პოეტებს, მწერლებს?

- თანამედროვე ფეისბუქ-პოეტების უმრავლესობას სამი პრობლემა აქვს: 1. მხოლოდ საკუთარ შემოქმედებას კითხულობენ, არ იცნობენ ლიტერატურას; 2. ბაძავენ ტელევიზორში და „იუთუბზე“ მოსმენილ ტრენდულ ავტორებს; 3. ლექსების ლაიქების რაოდენობა ატყუებთ; შესაბამისად, ვურჩევდი, რაც შეიძლება მეტი იკითხონ და საკუთარი ხმა იპოვონ, წერონ, რაც მათი სათქმელია და ნუ აუვარდებათ თავში „მამიდული გენაცვალოს, ჩემო ნიჭიერო“ - კომენტარები.

- ბოლოს წავიკითხე...

- ტარიელ ცხვარაძის ავტობიოგრაფიული რომანი „მანამდე და შემდეგ“.

- მენატრება...

- ოჯახური ცხოვრება, სიმშვიდე და თავისუფალი დრო.

- ვაპროტესტებ...

- სამოქალაქო აქტივისტი ვარ და, შესაბამისად, ბევრ რამეს ვაპროტესტებ, განსაკუთრებით - ქვეყნის რუსულ ვექტორზე გადასვლას.

- მიხარია...

- როცა ვხედავ, სხვას უხარია... არასოდეს მშურს სხვისი. როცა ვინმეს წარმატებას და კარგ ამბავს შევიტყობ, მთელი დღე პოზიტიურ ტალღაზე ვარ.

- ვნანობ...

- უაზროდ გაფლანგულ თითოეულ დღეს.

- რაც ყველაზე მნიშვნელოვანია...

- ხშირად გაცნობიერებული არ გვაქვს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მხოლოდ მაშინ ვაფასებთ, როცა ვკარგავთ.

- საყვარელი მუსიკალური მიმდინარეობა და შემსრულებელი...

- კონკრეტული მუსიკალური მიმდინარეობა და ერთი შემსრულებელი ძნელი გამოსარჩევია... ყველაზე ხშირად ვუსმენ რეგის, ეთნომუსიკას, ქართულ და უცხოურ ფოლკლორს, ეთნო-ჯაზს, ეთნო-როკს... ქართველი შემსრულებლებიდან მიყვარს ნიაზ დიასამიძე, ნატო მეტონიძე, ირაკლი ჩარკვიანი, მამუკა ჩარკვიანი, მურმან წულაძე, „ასეა სულ“, ზვიად ბოლქვაძე, „რეგიონი“... მოკლედ, ფართო სპექტრია.

- ბავშვობა არის...

- სულიერი სიწმინდის ინდიკატორი. არიან ადამიანები, რომლებიც ღრმა სიბერემდე ბავშვებად რჩებიან, ჯიუტად არ ცნობენ ბოროტებას და არ ემორჩილებიან რუტინას.

- ნივთი, რომელსაც სულ ვატარებ...

- სახლის გასაღები და პირადობის მოწმობა. რაიმე აკვიატებული პოეტური ნივთი არ მაქვს.

- სხვებისგან განვსხვავდები...

- ყველა ადამიანი განსხვავებულია, უბრალოდ, ზოგი ცდილობს, რომ მოდას აჰყვეს და მასის ნაწილი გახდეს. მე არ მივეკუთვნები მათ რიცხვს. ხანდახან რუხი მასისგან გამოყოფა და საზოგადოებაში „თეთრ ყვავად“ ყოფნა უფრო მხიბლავს, ვიდრე ტენდენციების და სხვისი აზრების მიმდევრობა.

- ჩემზე ამბობენ...

- მხიარული ადამიანიაო.

- 10 წლის შემდეგ...

- მინდა, ბევრი რამ მქონდეს მოსწრებული. არ მინდა, ცხოვრებაში გამოვტოვო ისეთი რამ, რაც არ განმეორდება.

- ახლა ყველაზე მეტად მინდა...

- ჩანთა მქონდეს ჩალაგებული და სამოგზაუროდ მივდიოდე სადმე, არაბანალურ, არაპოპულარულ, მაგრამ საინტერესო ადგილას.

- საკუთარ თავში შევცვლიდი...

- საკუთარ თავზე ბევრს ვმუშაობ და ბევრი რამ უკვე შევცვალე, თუმცა, ვფიქრობ, საკუთარი თავის საუკეთესო ვერსიამდე ბევრი მაკლია, ამიტომ ცვლილებები კიდევ მესაჭიროება. უმთავრესი, რაც უნდა გამოვიმუშავო, დროის ეფექტურად ხარჯვაა.

- უახლოესი გეგმა და მიზანი...

- რომანის დამთავრება და გამოცემა.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 30/01/23, 21 25 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

ძალოსნობის სასახლე არა მხოლოდ ჩაქველებს გაახარებს...

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

ჩაქვში რამდენიმე თვეში დასრულდება ძალოსნობის სასახლის მშენებლობა, რომელიც ახლა აქტიურად მიმდინარეობს. ეს სავარჯიშო კომპლექსი შესანიშნავი შენაძენი იქნება მთელი საქართველოსთვის, რადგან აქ შესაძლებელი გახდება არა მხოლოდ ადგილობრივი სპორტსმენების მომზადება, არამედ მნიშვნელოვანი ტურნირების, სპორტსმენთა შეკრებების მასპინძლობა

მშენებლობის დამკვეთია შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანია“, ხოლო აჭარის მთავრობის დაფინანსებით, მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული შპს „საბა კონსტრაქშენი“ აწარმოებს. შენობა სამსართულიანი და 2 256 კვადრატული მეტრია.

რამდენიმე დღის წინ ადგილზე ვეწვიეთ სპორტსმენებსა და მწვრთნელებს. მასპინძლობა აჭარის ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა, სახელოვანმა სპორტსმენმა ირაკლი თურმანიძემ, მისმა ყოფილმა მწვრთნელმა, შესანიშნავმა პიროვნებამ ბესარიონ ბასილიამ, მწვრთნელმა ნუგზარ ჯინჭარაძემ გაგვიწიეს.

მას შემდეგ, რაც ქართველმა ძალოსნებმა მსოფლიო დაიპყრეს, ლაშა ტალახაძემ ყველა ტიტული მოიპოვა და მსოფლიოში უძლიერესის სტატუსი დაისაკუთრა, ასევე, ჩაქველმა ძალოსანმა ირაკლი თურმანიძემ ამ ბოლო წლებში დიდ წარმატებას მიაღწია, სპორტის ეს სახეობა ჩაქვში კიდევ უფრო პოპულარული გახდა...

ძალოსნობის განვითარება საქართველოში გასული საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო. თავდაპირველად, სპორტის ამ სახეობაში პროფესიონალი სპორტსმენები ვარჯიშობდნენ, რომლებიც აჭარაში ჩამოდიოდნენ. ისინი არცთუ ცოტანი იყვნენ. ბათუმში კლასიკური ძალოსნობის გავრცელება ჩეხ პედაგოგ ვაცლავ კოუბას უკავშირდება. სწორედ მან ჩამოაყალიბა პირველი ჯგუფები. მერე ჯგუფები გაიხსნა სპორტსაზოგადოება „შევარდენსა“ და მოგვიანებით, „დინამოში“. მალე პირველი რეკორდსმენიც გამოჩნდა - ვასილ ლისოვსკი. მერე ახალი რეკორდები სხვადასხვა სპორტსმენმა დაამყარა. დღეს, რაკი ჩაქვზე ვსაუბრობთ, უპრიანია დავასახელოთ გელა სითათაშვილი, რომელმაც 70-იან წლებში საქართველოს რეკორდი დაამყარა საბჭოთა კავშირის პირველობაზე, ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივიც შეასრულა. ბოლო დროს ჩაქვში ახალი თაობის არაერთი წარმატებული ძალოსანი გამოჩნდა, მათ შორის, ზაზა აბულაძე, გია მაჭავარიანი და ირაკლი თურმანიძე საქართველოს ნაკრებთან ერთად (სხვადასხვა წონით კატეგორიაში) ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებში მონაწილეობდნენ. ოლიმპიადაზე ლაშა ტალახაძისა და ირაკლი თურმანიძის წარმატებამ, როცა ორი ქართველი ერთდროულად იდგა კვარცხლბეკზე, დიდი როლი ითამაშა სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციაში.

ამჟამად ჩაქვში ხუთ მწვრთნელთან (ბესარიონ ბასილია, აჭარის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ზაზა აბულაძე, ნუგზარ ჯინჭარაძე, სულხან დუმბაძე, გოგიტა კაკიაშვილი) დაახლოებით 120 ბიჭი ვარჯიშობს. ისინი არა მხოლოდ ჩაქველები არიან, ზოგი ბათუმიდანაც დადის, ასევე, ჩაქვის მიმდებარე სოფლებიდანაც. რამდენიმე წლის წინ ვიყავი მათთან, როცა იმ უსახურ შენობაში ვარჯიშობდნენ, რომელიც დაანგრიეს და სწორედ მის ადგილზე აშენდა ეს ახალი სასახლე. მაშინ საშინელ პირობებში იყვნენ როგორც სპორტსმენები, ისე მწვრთნელები (ფანჯრებზე ცელოფნები ჰქონდათ აფარებული, არც სველი წერტილები იყო მოწესრიგებული), თუმცა მონდომება ისეთი დიდი იყო, რომ ირაკლი თურმანიძემ სწორედ მაშინ, თავდაუზოგავი შრომით და, რა თქმა უნდა, მწვრთნელ ბესო ბასილიას თანადგომით დიდ წარმატებას მიაღწია...

საწვრთნელ დარბაზში, რომელიც დროებით აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილ შენობაშია განთავსებული, სამი ძალოსანი ვარჯიშობდა. 20 წლის ბაჩუკი შამილიშვილი მეექვსე წელია, მწვრთნელ ნუგზარ ჯინჭარაძესთან ვარჯიშობს. სპორტის ამ სახეობაში ბევრი მისი ახლობელი იყო ჩართული და გადაწყვიტა, თავადაც მოესინჯა ძალები. დღეს ის უკვე ევროპის ვერცხლის პრიზიორი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და საქართველოს რეკორდსმენია. ოთხჯერ იასპარეზა ევროპის ჩემპიონატზე. მეოთხე წელია ნუგზარ ჯინჭარაძესთან ვარჯიშობს ზაურ ქადაიაც, რომელიც აჭარის მრავალგზის და საქართველოს ჩემპიონია.

ზურაბ მსხალაძეც ნუგზარის შეგირდია უკვე მეექვსე წელია, ისიც საქართველოს ჩემპიონი გახლავთ.

ნუგზარ ჯინჭარაძე 8 წელია მწვრთნელად მუშაობს. ადრე თავადაც წარმატებული სპორტსმენი იყო, ამჟამად 20 ახალგაზრდას ავარჯიშებს.

როგორც აღვნიშნეთ, სამუშაოებს „საბა კონსტრაქშენი“ უძღვება. სამუშაოთა მწარმოებელ ავთანდილ კეშელავას თქმით, მშენებლობა მალე დასრულდება. კომპლექსში შედის საოფისე, სასტუმრო, სპორტსმენების დასასვენებელი, სასადილო, სველი წერტილები, გასახდელები. აქ ორი ბლოკია. A ბლოკი ყველა პორტსმენს მოემსახურება, B ბლოკში არენა განთავსდება. ტრიბუნაზე სკამები 350 კაცზეა გათვლილი. სპორტსმენთა სავარჯიშო ადგილი ცალკეა.

- ჩვენი ვარაუდით, ობიექტის მშენებლობა მაის-ივნისში უნდა დასრულდეს. პრობლემა არ შეგვქმნია. ყველა გვერდით გვიდგას, ამინდებმაც ხელი შეგვიწყო. თებერვალ-მარტში შედარებით ცუდი ამინდი იქნება და შეიძლება, გადახურვისას შეგვეშალოს ხელი, თორემ შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოების 70-80 პროცენტი შესრულებულია. კედლები დამუშავებულია, დარჩენილია მათი შეღებვა, ლამინირებული იატაკის დაგება და კარების ჩასმა. უკვე მზადაა სველი წერტილები. რა თქმა უნდა, ყველაფერს რომ მოვრჩებით, ეზოც უნდა კეთილმოვაწყოთ, - გვითხრა მან.

- წლებია, დარბაზის პრობლემა გვაქვს, მშენებლობის დასრულებას სულმოუთქმელად ველოდებით. ყველაფერი კარდინალურად შეიცვლება, დავგეგმავთ დიდ შეჯიბრებებს, ბიჭებს კარგად მოვამზადებთ, გახსოვთ, ალბათ, როგორ პირობებში ვვარჯიშობდი. ახლა ფარღალალა დარბაზში არ ვართ, მაგრამ ფიცარნაგის ნაკლებობა გვიშლის ხელს. ახალი კომპლექსის აშენებისთვის ბევრი თაობა იბრძოდა. ოლიმპიადაზე ჩემმა წარმატებულმა გამოსვლამ დააჩქარა მშენებლობა. ყველა გახარებული ვართ, რომ ასეთ კარგ კომპლექსს გვიშენებენ. მჯერა, ახალ დარბაზში ჩემზე ბევრად უფრო წარმატებული სპორტსმენები გაიზრდებიან, - გვითხრა ირაკლი თურმანიძემ.

ევროპის ჩემპიონმა, ორგზის პრიზიორმა (ვერცხლი, ბრინჯაო), ოლიმპიურმა პრიზიორმა ირაკლი თურმანიძემ, სერიოზული ტრავმის გამო, 2019 წელს აქტიურ სპორტს თავი დაანება. რამდენიმე ოპერაციაც გაიკეთა, მაგრამ ექიმებმა ვარჯიში აუკრძალეს. ძალიან განიცადა, მერე ფედერაციის პრეზიდენტად აირჩიეს და... ახლა სულ ბიჭებთან ერთადაა, ეხმარება მათ, გამოცდილებას გადასცემს. სამაგალითო ბიჭების აღზრდა სურს, უნდა, რომ ახალგაზრდობამ სკოლის შემდეგ, სპორტში დახარჯოს ენერგია და არა სხვა რამეში. სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით ხშირი ურთიერთობა აქვს გიორგი ასანიძესთან, ისიც დაუზარლად ეხმარება. მადლიერება გამოხატა ყველას მიმართ, ვინც მათი სატკივარი გულთან მიიტანა და სამომავლოდ ბავშვებისთვის ძალიან დიდ საქმეს აკეთებს. ირაკლი თურმანიძეს სამი გოგონა ჰყავს. „ბიჭი რომ მყოლოდა, რა თქმა უნდა, აქ მოვიყვანდი, მაგრამ ვნახოთ, ეგებ ჩემს გოგონებსაც მოუნდეთ სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში, მე ხელს ნამდვილად არ შევუშლი“, - მეუბნება იგი.

ლაშა ტალახაძე ხშირად ამბობდა, რომ თავდაპირველად ირაკლი თურმანიძე იყო მისთვის მაგალითის მიმცემი, ახლა თავადაა ახალგაზრდა სპორტსმენებისთვის სამაგალითო.

რევაზ და ბესარიონ ბასილიების სახელი საქართველოში კარგადაა ცნობილი. ომიდან დაბრუნებული ბორჯომელი ივანე მჟავანაძე იყო პირველი, ვინც აჭარაში რეზო ბასილიას ავარჯიშებდა. მანამდე ბატონი რეზო თბილისში, უნივერსიტეტში ვარჯიშობდა. ჩაქვში ჩამოსვლის შემდეგ უკვე თავად იყო მოქმედი სპორტსმენი და მწვრთნელიც. მონაწილეობდა ტურნირებში. საქართველოს ჩემპიონი გახლდათ, ტრავმის შემდეგ მხოლოდ სამწვრთნელო მოღვაწეობა განაგრძო. მან აღზარდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი, ევროპის პრიზიორი გელა სითათაშვილი, ამის გარდა, კიდევ არაერთი სპორტის ოსტატი... მისი გარდაცვალებიდან 9 წელი გავიდა... ბესო ბასილიამ მამის გარდაცვალების შემდეგაც განაგრძო მწვრთნელობა. ახალგაზრდობაში ის საქართველოს ჩემპიონი იყო. ერთხელ მამამ ვარჯიში ჩაატარა სტადიონზე, ბესოც იქ იყო, მოეწონა და მერე თავადაც აიყვანა რამდენიმე ბიჭი. მამას გაეცინა, უთხრა, რომ ერთ თვესაც ვერ გაძლებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ოთხი თვის მერე ჩაქვის სპორტსკოლის დირექტორმა ასლან ცეცხლაძემ უკვე მწვრთნელის ხელფასი დაუნიშნა. მას შემდეგ თითქმის სამი ათეული წელი გავიდა... მერე მოხდა ისე, რომ ჩაქვის სპორტსკოლა გააუქმეს და მუხაესტატეში გახსნეს. ბავშვები დაიფანტნენ და ბატონმა ბესომ სხვაგან დაიწყო მუშაობა, იყო პოლიციის სამძებრო განყოფილების უფროსი. მერე სთხოვა უფროსს, რომ ბავშვთა განყოფილებაში აეყვანათ - ბობოყვათიდან დაწყებული სახალვაშოს ჩათვლით, ყველა სკოლა მისი ზედამხედველობის ქვეშ იყო. მწვრთნელობა მაინც სურდა. დადიოდა სკოლებში და ნელ-ნელა ძალოსნობაზე „შეიტყუა“ ბიჭები, მათ შორის იყვნენ ირაკლი თურმანიძე, ნუგზარ ჯინჭარაძე, სულხან დუმბაძე,ზაზა აბულაძე, დათო ზოიძე, გურამ გოგრაჭაძე... ბევრი სხვა. ირაკლი ძალიან გამოირჩეოდა, ასევე ზაზა აბულაძე, რომელიც საქართველოს რეკორდსმენი და ჩემპიონი იყო სხვადასხვა ასაკში.

- ირაკლის შემდეგ ჩვენთან ისეთი პოპულარული გახდა სპორტის ეს სახეობა, რომ ათობით ბავშვი მოვიდა სავარჯიშოდ. ამჟამინდელი დარბაზი ძალიან პატარაა, სპორტსმენებს ვერ იტევს - დილის ათის ნახევარზე რომ ვიწყებთ ვარჯიშს, ღამემდე გრძელდება. ერთმანეთს სხვადასხვა ჯგუფი ენაცვლება. ძირითადად, 8 წლის ასაკიდან ვარჯიშობენ. ამ შენობისთვის, ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, ბევრი იბრძოდა, მერე ამაში ჩაერთნენ ირაკლი, ლაშა ტალახაძე, ავთანდილ გახოკიძე, გიორგი ასანიძე, კახი კახიაშვილი... მათ რომ არ ებრძოლათ, ალბათ, კიდევ დიდხანს არ იქნებოდა აქ ეს შესანიშნავი ბაზა. გიორგი ასანიძემ გვითხრა, როგორც კი ახალი დარბაზი გაიხსნება, პირველ შეკრებას ნაკრები სწორედ ჩაქვში გაივლისო. უნდათ, რომ ოფიციალურ გახსნას ჩემპიონატიც დაამთხვიონ. როცა აქ ცნობილი სპორტსმენები ჩამოვლენ სავარჯიშოდ, ეს დიდი სტიმული გახდება დამწყები სპორტსმენებისთვის. ძალოსნობის ბაზა მარტო ჩაქვისთვის, აჭარისთვის კი არა, მთლიანად საქართველოსთვის კეთდება, რაც არ შეიძლება არ გვახარებდეს. მადლობა ყველას, ვინც ამაში აქტიურადაა ჩართული, - გვითხრა აჭარის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბესარიონ ბასილიამ.

ამ რამდენიმე დღის წინ აჭარის სპორტის დეპარტამენტის უფროსი ლაშა ჩავლეშვილი, მისი მოადგილე მინდია ქათამაძე, მასობრივი სპორტისა და მუნიციპალიტეტებთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი მინდია სიხარულიძე ირაკლი თურმანიძეს შეხვდნენ და ევროპის ჩემპიონსა და ოლიმპიურ პრიზიორს ჩაქვის ძალოსნობის სასახლის მშენებლობის მიმდინარეობაზე ესაუბრნენ.